# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 10 ივლისი, 2015 წელი.

№127 (7772)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.



4

## ან აშშ, ან ღმერთი, მესამე არ არსებობს!..

ბარაკ ჰუსეინ ობამამ ერთსქესიანი ქორწინებების დაკანონებას ამერიკის გამარჯვება უწოდა, რითიც საბოლოოდ ჩამოიხსნა ნიღაბი, გნებავთ, უფრო უპრიანად, ნიღაბი არა, შარვალი ჩაიხადა!

## მთავარია, „საჭირო დროს საჭირო ადგილზე აღმოჩნდე“



5

სააკაშვილმა გაამართლა. გაამართლა თავისი სიგიჟით, არაადეკვატურობით, ყურმოჭრილი მონობით (ამაში მას არც ალასანია და არც ერთი სხვა წვრილფეხა პოლიტიკოსი არ ჩამოუვარდება), საკითხის სწრაფი გადაჭრით, თავხედობით, რუსეთისადმი დაუძინებელი მტრის იმიჯის წარმოსახვით.

## როცა მოვალე ყაჩაღი ხდება, ამ დროს კი კანონი არ კანონობს!



3



7

## ბეღლის ვირთხები სუქდებიან, მეწარმეები კი კოტრდებიან



8

## ნინო ბურჯანაძე რუსეთთან კავშირურთიერთობას აწესრიგებს

## ნაცებს რომ ჰკითხოთ, დანაშაულს არ ჩავდიოდითო!



2

თქვენ რაღას აკეთებთ, მეოცნებეებო?!



## ისტორიის გამრუდებული სარკე, ანუ როგორ ალამაზებენ თურქები საკუთარ ისტორიას



8

## რის შეცვლას გეგმავენ ქალები მომავალში

2

# ნაცებს რომ ჰკითხოთ, დანაშაულს არ ჩავდიოდითო!

## თქვენ რაღას აკეთებთ, მეოცნებეებო?!

**„ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა" 2012 წლის შემდეგ პროკურატურაში შესულ განცხადებებზე უწყების რეაგირების შესახებ ინფორმაცია გაავრცელა.**

როგორც IDFI-ში აღნიშნავენ, 2014 წლის 22 დეკემბერს, ააიპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა" საჯარო ინფორმაციის მიღების შესახებ განცხადებით მიმართა საქართველოს პროკურატურას და მოითხოვა სტატისტიკური მონაცემები 2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2015 წლის 1 იანვრამდე საქართველოს პროკურატურაში შესული განცხადებების/საჩივრების რაოდენობისა და მათზე დამდგარი შედეგების შესახებ.




„საქართველოს მთავარი პროკურატურიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ 2012 წლის ოქტომბრიდან 2015 წლის იანვრამდე საქართველოს პროკურატურაში სულ შევიდა 52 530 საჩივარი/განცხადება, რომლებიც საჯარო მოხელეთა მხრიდან მოქალაქეთა წინააღმდეგ განხორციელებულ უკანონო ქმედებებს შეეხებოდა, აქედან 10 379 განცხადების შემთხვევაში მოთხოვნილ იქნა კონკრეტულ ფაქტებზე გამოძიების დაწყება. მითითებული 10 379 განცხადებიდან კი 3495 შეეხებოდა სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომელთა და სამართალდამცავთა მიერ ჩადენილ დანაშაულებს, 697 ქონების უკანონოდ ჩამორთმევის ფაქტებს, ხოლო 6187 მიეკუთვნებოდა სხვა კატეგორიას.

საქართველოს პროკურატურის მიერ მოწოდებულ იქნა ასევე ინფორმაცია იმ საჯარო მოხელეთა რაოდენობის შესახებ რომელთა წინააღმდეგაც დაიწყო სისხლის სამართლებრივი დევნა. კერძოდ, 2012 წლის ოქტომბრამდე ჩადენილი დანაშაულისთვის დევნა დაიწყო 367 საჯარო მოხელის წინააღმდეგ. გამამტყუნებელი განაჩენი დადგა 147 პირის მიმართ, გამამართლებელი 29 პირის მიმართ, 13 პირი განერიდა სისხლის სამართლებრივ პასუხიმგებლობას, დანარჩენ შემთხვევებთან დაკავშირებით კი საქმის წარმოება გრძელდება.

ამის შემდეგ IDFI დაინტერესდა იმით, თუ რა შედეგებით დასრულდა/რა მსვლელობა მიეცა მოცემულ 10 379 განცხადებას/საჩივარს, მათ შორის, რამდენ შემთხვევაში დადგა გამამტყუნებელი განაჩენი, რამდენ შემთხვევაში დადგა გამამართლებელი განაჩენი, რამდენ შემთხვევაში შეწყდა საქმის წარმოება მოსამართლის მიერ შესაბამისი განჩინების მიღების შემდეგ საქმეში არასაკმარისი მტკიცებულებების არსებობის გამო, რამდენ შემთხვევაში იქნა გამოყენებული განრიდება, რამდენ შემთხვევაში გაფორმდა საპროცესო შეთანხმება და რამდენ შემთხვევაზე მიმდინარეობს ჯერ კიდევ სისხლის სამართლის საქმის წარმოება. აღნიშნულ კითხვაზე 2015 წლის 29 მაისს მოგვეწოდა ინფორმაცია, რომელიც მოიცავდა არასრულყოფილ მონაცემებს მხოლოდ პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტში მიმდინარე საქმეთა შესახებ (სულ 112). ამასთან გვეცნობა, რომ აღნიშნულ 10 379 განცხადებასა და დეპარტამენტში მისი მუშაობის დაწყებიდან წერილის მიღების მომენტამდე შესულ 2 208 განცხადებაზე შემაჯამებელი გადაწყვეტილება არც ერთ საქმეზე არ იყო მიღებული.

იქიდან გამომდინარე, რომ პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაცია არ პასუხობდა ჩვენს შეკითხვას, და ის მოიცავდა ინფორმაციას არა სულ შესული 10 379 განცხადებასთან დაკავშირებით მიღებული ზომების, არამედ მხოლოდ ერთ დეპარტამენტში მიმდინარე საქმეების შესახებ, ჩვენ კიდევ ერთხელ შევეცადეთ, მიგვეღო ინფორმაცია პროკურატურისგან, თუმცა, სამწუხაროდ, ინფორმაცია არც ამ შემთხვევაში მოგვეწოდა და გვეცნობა, რომ „შემაჯამებელი გადაწყვეტილება ამ ეტაპზე მიღებულ იქნა პროკურატურის ორი თანამშრომლის მიმართ."

დასკვნის სახით, გვსურს, კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად ხელისუფლების ცვლილების შემდგომ მართლმსაჯულების ხარვეზების აღმოფხვრის საკითხი ძალზედ აქტიურად დადგა საზოგადოებაში. მიუხედავად ამისა, სამწუხაროა, როდესაც საქართველოს პროკურატურა არ ფლობს ან არ ასაჯაროებს ინფორმაციას იმის შესახებ თუ რა შედეგებით დასრულდა, რა რეაგირება მოყვა უწყებაში შესულ იმ 10 379 განცხადებას, რომლებიც მოიცავდა ინფორმაციას საჯარო მოხელეთა მიერ განხორციელებულ უკანონო ქმედებებზე.

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, საზოგადობის ნდობის ამაღლების მიზნით, ვფიქრობთ, უმნიშვნელოვანესია, საქართველოს პროკურატურამ გამოაქვეყნოს დეტალური ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა შედეგი მოყვა უწყებაში 2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2015 წლის 1 იანვრამდე შესულ იმ განცხადებებს/საჩივრებს, რომლებიც საჯარო მოხელეთა მხრიდან განხორციელებულ უკანონო ქმედებებზე მიუთითებდნენ", — ნათქვამია IDFI-ის ინფორმაციაში.

## ინფორმაცია

### ახალდაბასთან კვლავ მეწყერი ჩამოწვა




**თბილისში,** სოფელ ახალდაბასთან ახლოს გუშინ 07:00 საათზე მეწყერი ჩამოწვა. როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოში განაცხადეს, მეწყერი მცირე მასშტაბის იყო.

უწყების ინფორმაციით, მეწყერმა დააზიანა გაზსადენი, ასევე საავტომობილო გზის ნაწილი, რომელიც უკვე გაწმენდილია. შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

როგორც „ყაზტრანსგაზ-თბილისიდან" იტყობინებიან, სოფელ ახალდაბასთან ჩამოწოლილმა მიწის მასამ მნიშვნელოვნად დააზიანა შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის" კუთვნილი გაზსადენი, რის გამოც სოფელ ახალდაბას ბუნებრივი აირის მიწოდება შეუწყდა.

### გარდაცვლილი სამხედროს ოჯახს ხელისუფლება ეხმარება

**ავღანეთში** მიღებული ჭრილობების შედეგად გორის ჰოსპიტალში გარდაცვლილი ქართველი სამხედროს, კაპრალ დავითაიას ოჯახი სახელმწიფოსგან 100 ათას ლარს მიიღებს. როგორც ჟურნალისტებს საქართველოს თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა განუცხადა, შესაბამისი გადაწყვეტილება მთავრობამ გუშინდელ სხდომაზე მიიღო.

„ეს თემა, სამწუხაროდ, ზოგიერთი მედიასაშუალების მხრიდან სპეკულაციის საგანი გახდა, რის გამოც მინდა, ამ ოჯახს ბოდიში მოვუხადო. საქართველოს მთავრობა და ქართული სახელმწიფო საკუთარ ვალდებულებებს ასრულებს. შესაბამისად, რამდენიმე დღეში ეს თემა დასრულდება", — აღნიშნა თავდაცვის მინისტრმა.

რამაზ დავითაია გორის ჰოსპიტალში 2015 წლის ივნისში გარდაიცვალა.

### საბერძნეთში მყოფი საქართველოს მოქალაქეები მასობრივ დაბრუნებას არ აპირებენ

**საბერძნეთში** მყოფი საქართველოს მოქალაქეები სამშობლოში მასობრივ დაბრუნებას არ აპირებენ, —ამის შესახებ მთავრობის გუშინდელი სხდომის შემდეგ ჟურნალისტებს დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა გელა დუმბაძემ განაცხადა.

მისივე განმარტებით, გამოითქვა საბერძნეთიდან ესპანეთსა და იტალიაში გადასვლის თაობაზე სურვილი, თუმცა, ამასაც ერთეული შემთხვევის ხასიათი აქვს.

„მოგეხსენებათ, რომ გასულ კვირას საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე იყო საბერძნეთში სიტუაციის გასარკვევად. გუშინ მე მოვიწვიე სპეციალური სხდომა, რომელზეც გადაწყდა, რომ მომავალ კვირას ჩემი პირველი მოადგილე ზაალ სარაჯიშვილი გაემგზავრება ათენსა და სალონიკში, სადაც ჩვენი დიასპორის წარმომადგენლებთან კიდევ ერთხელ გაივლის იმ პრობლემატიკას, რაც მათ წინაშეა. ჩვენ მიერ მოწვეულ იქნა ასევე საბერძნეთის საელჩოს მრჩეველი ეკონომიკურ საკითხებში, რომელთანაც ხანგრძლივი საუბარი გვქონდა", — აღნიშნა სახელმწიფო მინისტრმა.

სახელმწიფო მინისტრის განმარტებით, ოფიციალური მონაცემებით, საკონსულო აღრიცხვაზე საბერძნეთში საქართველოს რამდენიმე ათეულ ათასი, გადაუმოწმებელი ინფორმაციით კი, დაახლოებით 200 ათასი მოქალაქე იმყოფება.

## მატრიარქატი ბიზნესში?

# რის შეცვლას გეგმავენ ქალები მომავალში

**გენდერული პრობლემა ყველა ქვეყანაშია, მათ შორის, საქართველოში. ჩემი აზრით, აქ უფრო მეტად ფუნდამენტური ფონი დევს, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. სტერეოტიპი — ერთხელ უკვე დამკვიდრებული და შეჩვეული პატრიარქატისა, რომელიც აღმოსავლეთის ქვეყნებისთვის ყველაზე ბუნებრივი და შერწყმული აღმოჩნდა. დღეს არავის ჩაგრავენ იმიტომ, რომ ქალია (არის ტრაგიკული შემთხვევები, მაგრამ უფრო მენტალური სისუსტეების გამოვლინებასთან გვაქვს საქმე, ვიდრე გენდერთან). და მაინც, ქალი რომ ღირსეულად გრძნობდეს თავს, მთავარია, ის იყოს რეალიზებული საზოგადოებაში (სამზარეულოსა თუ სამსახურში, ამას მნიშვნელობა არა აქვს).**

ფორუმზე, რომელიც ბიზნესასოციაციამ **„ქალები მომავლისთვის"** გამართა ასამდე წარმატებულმა ქალბატონმა მოიყარა თავი და დარბაზში გენდერული ბალანსი აბსოლუტურად დაირღვა, რადგან მამაკაცები ნამდვილ უმცირესობაში აღმოჩნდნენ. თუმცა, ყველაზე მეტი ოვაცია ფსიქოლოგ სანდრო ჯეჯელავას ხვდა წილად, როცა მან ქალების წარმატებისა და წინსვლის საიდუმლოებაზე ისაუბრა: **„ქართულ ზღაპრებში ქალი — გმირები არ გვყავს. მაინცდამაინც არც მსოფლიო ზღაპრები გამოირჩევიან ამ მხრივ. პრინცესები პრინციპებს ელოდებიან... ანუ ჩვენს ქვეცნობიერშივე დევს გენდერული დისბალანსი. ვინც მიხვდა და თავის თავს უშველა, დღეს სწორედ ამ ადამიანების თავყრილობაა",** — აღნიშნა მან.

სტატისტიკით მიხედვით, საქართველოში ქალების 40 პროცენტი სამუშაო ძალას ქმნის. თუ გავითვალისწინებთ, რამდენი ქალბატონია წასული უცხოეთში სამუშაოდ, რა თქმა უნდა, ციფრი გაიზრდება. ასევე დიდი პოტენციალია სოფლად, სადაც ქალის შრომა ხშირად მამაკაცებისაზე უფრო ძნელია... მაგრამ ბიზნესი მაინც ის სფეროა, სადაც მამრები უფრო ჭარბობენ... განსაკუთრებით ნაკლებია ქალების როლი ტექნოლოგიურ დარგებში, მათემატიკასა და ინჟინერიაში.

დადასტურებულია, რომ იმ ქვეყნებს, სადაც გენდერული თანასწორობაა, გაცილებით მეტი მიღწევები აქვს, განვითარებულია ეკონომიკურად, კულტურულად, სოციალურად.

„ქალები მომავლისთვის" ლიდერს **თინათინ რუხაძესაც** ასეთი ამბიციები აქვს — იყვნენ ქალები ჭარბად არა მხოლოდ პოლიტიკაში, არამედ ბიზნესში. **„სულ რაღაც წელიწადია ვარსებობთ, მაგრამ უკვე გაგვიჩნდა შესათავაზებელი სერვისები ქალებისთვის, როგორ შევუწყოთ ხელი იმას, რომ ქალბატონები ბიზნესის სექტორში გააქტიურდნენ. ჩვენ გვყავს საერთაშორისო პარტნიორები, ნაციონალური მხარდამჭერები, ამიტომ სავარაუდოდ ხუთ წელიწადში საკმაოდ**



**სოლიდურ ორგანიზაციად გადავიქცევით. ტრენინგები, კავშირები, პოტენციალის განსაზღვრა, ფინანსური მხარდაჭერა — ეს ყველაფერი შეგვიძლია შევთავაზოთ ჩვენს ორგანიზაციაში გაწევრებულ ბიზნეს-ქალბატონებს. უნდა დავანახოთ საზოგადოებას, რამდენად მნიშვნელოვანია ქალის როლი ბიზნესში".**

ფორუმზე სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელმა ქალბატონებმა პრეზენტაცია მოაწყეს იმ პროდუქციისა, რასაც ქმნიან: ნაკეთობები, ტექსტილი, კვების პროდუქტები. გაიცნეს ერთმანეთი, ზოგმა პარტნიორი იპოვნა. გაცვალეს იდეები და ა. შ. მათ შეძლეს, ერთგვარი წარდგინება მოეწყოთ საკუთარი შესაძლებლობებისა და ეჩვენებინათ ის, რომ არაფრით ჩამოუვარდებიან საპირისპირო სქესის მეწარმეებს. მით უმეტეს, მამაკაცი ფსიქოლოგის რჩევა ასეთი იყო: **„შეგიძლიათ, უთხრათ, მაპატიე, შვილო, რომ ხაჭაპური ვერ გამოგიცხვე, რადგან სამსახურში მივდიოდი, მაგრამ გამოგიცხვე მაგალითი, თუ როგორ უნდა წარმართო ცხოვრება... და ეს უფრო რთულია, ვიდრე ხაჭაპურის გამოცხობა. ჩვენ საზოგადოებას სჭირდება სტერეოტიპის ნგრევა. უფრო მეტი შემდგარი და რეალიზებული ინდივიდები... მით უმეტეს ქალბატონები.**

**და ბოლო რჩევა — ნუღარ იწუწუნებ! თუ შეგიძლია, შეცვალე, თუ არადა, გაჩუმდი"...**

**ნია ფიფია**

ვითხოვ სიტყვას

# მაწუხებს და უნდა ვთქვა

**ტელეკომპანია „იბერია“, უფრო ზუსტად, „იბერია TV“, რომელმაც, ღვთის (და 2 ოქტომბრის) წყალობით, ლიცენზია დაიბრუნა, მალე (ათი წლის შემდეგ!) მაუწყებლობას „სრული სვლით“ განაახლებს. ერთ-ერთი გადაცემა, რომელსაც, ვფიქრობ, მაყურებელი დიდი ინტერესით შეხვდება, „ბენეფისი“ იქნება – არა „ყვითელი“ და „პროფილური“, არამედ აკადემიური, ღირსეული, ჭორაობისგან დაზღვეული...**

**რამდენიმე დღის წინათ იმ გადაცემის ჩაწერას დავესწარი, რომელსაც „თამარ ჭოხონელიძის ბენეფისი“ ერქმევა.**

**ფორმატი ასეთია: სცენაზე მხოლოდ მთავარი გმირია. ზის გრძელ სკამზე და საკუთარ ბიოგრაფიას მოგვითხრობს – ცხოვრებისეულსაც და შემოქმედებითსაც. შემდეგ კი დარბაზში, იქვე, სპონტანურად და ბუნებრივად დაბადებულ შეკითხვებს უპასუხებს.**

**თამარი ჩინებული მთხრობელია. ეტყვიან კიდეც ნინო ვახანია და როსტომ ჩხეიძე – ისევე კარგად გვიამბობთ, როგორც მღერითო...**

**ორიოდე შეკითხვა მეც დავუსვი. მეორეს, ვფიქრობ, არა უშავდა, პირველი მანერვიულებს. ტელესივრცეს მაინცდამაინც შეჩვეული არა ვარ (კალმის კაცი!), მაგრამ ზოგიერთი მარადმწვანე ტელეწამყვანისაგან განსხვავებით, შეკითხვის ჩამოყალიბებას ასე თუ ისე ვახერხებ ხოლმე. როცა თამარმა ყოფილი მეუღლე ახსენა, რატომღაც, „მოყვითალო“ შეკითხვის დასმა მომინდა: „მგონია, რომ თქვენს შორის ყველაფერი დამთავრებული არ არის, თუ არის ისეთი რამ, რასაც ორივე ნანობთ, საერთოდ, ზოგად პლანში მაინტერესებს, რატომ მიდიან ქმრები?“**

**თამარს პასუხის გაცემა, რა თქმა უნდა, არ გასჭირვებია. ჯერ ეს თქვა: „დავიწყოთ იქიდან, რომ მე თვითონ წამოვედი“...**

**ჰო, გამომრჩა, რომ ესეც ვუთხარი: „სულ ახლახან ნანი ბრეგვაძემ ბულვარულ ჟურნალს გაუმხილა, ჩემი ქმარი თვითონ წავიდა, თორემ მე არ გავცილდებოდიო. მას ათეული წლები დასჭირდა, ეს რომ ეღიარებინა. თქვენ იტყოდით ასე?“**

**თამარი ნანიზე უფრო შეუვალი აღმოჩნდა.**

**პასუხმა შეკითხვა აშკარად გაამართლა, მაგრამ მაინც მაწუხებს ის, რომ შეიძლება, თამარს გულში რაღაც ხინჯად დარჩეს. უფრო მეტად იმიტომ, რომ ჩემგან არ ელოდა – იცის, რომ მიყვარს და პატივს ვცემ არა მხოლოდ სიმღერის, არამედ და უფრო მეტად, მოქალაქეობრივი პოზიციის გამო. იმის გამო, რომ არ არის გულგრილი ხელოვანი, ვისთვისაც სულ ერთია, რა ხდება მის ქვეყანაში და თავის პოზიციას ყოველთვის მძაფრად გამოხატავს. ეს ყველაფერი იმ დღეს, იმ გადაცემაში ვუთხარი კიდეც...**

**მაგრამ მაინც...**

**სათქმელი ბოლომდე უნდა ითქვას.**

**თამარი ამაყობს თავისი მეგობრებით, მაგრამ, საუბედუროდ, მისი არაერთი მეგობარი ნინა წკრიალაშვილის მეგობარიცაა და, მასთან ერთად, იმ მდარე გადაცემებშიც მონაწილეობს, საზოგადოების გემოვნებასა და ზნეობას რომ აქვეითებენ...**

**ერთხელ გულნატკენმა თამარმა შემომჩივლა, თუ ჩემს მოქალაქეობრივ პოზიციას დაუფარავად გამოვხატავ, როცა გაჩუმება არ შემიძლია და იმიტომ ვლაპარაკობ, ამბობენ, რა ქართვლის დედობა მოგვინდომაო.**

**ქართვლის დედობისა რა მოგახსენოთ, მაგრამ თამარში უთუოდ არის იმის პოტენცია, რომ ეროვნულ მოღვაწედ ჩამოყალიბდეს. თუნდაც პარლამენტი ავიღოთ , იქ სწორედ მისნაირი გულანთებული მამულიშვილები უნდა ისხდნენ და არა კორძაიები თუ ჩაფიძეები...**

**შესაძლოა, სიტყვა „მამულიშვილი“ ბევრს ეხამუშოს, მაგრამ მჯერა, დადგება დრო, როცა თამარ ჭოხონელიძის პიროვნებას ეს ცნება ბუნებრივად მიესადაგება.**



**რაც შეეხება ისევ პირადულს, მურმან ლებანიძემ ერთ ქალბატონს ასე მიმართა: „მიტოვებულიც, ნაღალატევიც, ხარ მშვენიერი“...**

**თამარ ჭოხონელიძე იმდენად ძლიერია, რომ დიდებული პოეტის ამ დიდებული სტრიქონებისთვისაც ვერ გავიმეტებდი...**

**იოსებ ჭუმბურიძე**

ანაბარი მგელმაც იცის

# როცა მოვალე ყაჩაღი ხდება, ამ დროს კი კანონი არ კანონობს!

**პირდაპირ ვიტყვი: აღშფოთებული ვარ 8 ივლისს იუსტიციის სამინისტროდან მიღებული პასუხით. არ, ვიცი რითი დავიწყო, იმდენად მრავალმიმართულებიანი კორუფციული ნორმებით არის გადატვირთული იუსტიციის სამინისტროს პასუხი ჩემს საქმესთან დაკავშირებით (№5185 14.07.2015წ.). გაყალბებული სინამდვილე, თითიდან გამოწოვილი მიზეზებით უგულებელყოფილი ნოტარიული ხელშეკრულება, ზღაპრის დონეზე მოთხრობილი გულის ამაჩუყებელი მოვლენები საწყალი ბიზიკაშვილების ოჯახისა და ამ დროს დაზარალებული, უმწეობის რეიტინგიანი (54990 ქულა) 84 წლის, უამრავი უმძიმესი დაავადებების მატარებელი პირი გამოყვანილი მონსტრად.**

**მივყვეთ მოვლენებს:**



2011 წლის 27 ოქტომბერს საშუამავლო ოფისის დახმარებით 6 თვის ვადით სესხი მივეცი გიორგი ბიზიკაშვილს საჯარო რეესტრის ამონაწერით ერთადერთ მეპატრონეს იპოთეკის საგნისა. მაშინ ამ საქმეში „მესაკუთრე“ მხარედ, ფაქტობრივად, წარმოდგენილი იყო ორი პირი – დედა ნანი და შვილი გიორგი ბიზიკაშვილი. როდესაც მივედით შუამავალთან ერთად ბინის დასათვალიერებლად, ჩემი პირველი კითხვა იყო, „ბავშვი ხომ არ არის ოჯახში“? ქალბატონმა ნანამ ხმამაღლა მიპასუხა **„რომელ ბავშვზე ლაპარაკობთ, ეს სახლ-კარი მამამ აჩუქა შვილს გიორგის, გიორგი კი უცოლშვილოა, ახალგაზრდა კაცი, ან არადა ამ საჯარო რეესტრის ამონაწერს არ ენდობით?“** ხმის ამოღების უფლება დამეკარგა.

პირველი სესხი ვერ გადაიხადეს და ხელშეკრულებამ დაკარგა თავისი ფუნქცია, რამდენადაც იქ პროცენტის გადახდა არ იყო მითითებული, ამიტომ მეპატრონის თხოვნით გავაუქმეთ არსებული ხელშეკრულება და გავაფორმეთ ახალი, სადაც, როგორც პირველში, გარანტია იყო იმისა, რომ ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში სახლ-კარი უპრობლემოდ გადმოდიოდა ჩემს საკუთრებაში. ვალი არც ამჯერადაც გადაუხდიათ და მეპატრონე დედა-შვილის თანხმობით ბინა გადმოფორმდა ჩემს სახელზე, ყველა საჭირო დოკუმენტის და ინსტანციაში საკუთარი ხელმოწერების თანახმად.

რამდენადაც მეპატრონეებმა ვალთან ლოიალური დამოკიდებულება გამოიჩინეს, მეც, ჩემი მხრიდან, არ დავაყოვნე და ჩემი სურვილით იქვე სანოტარო ბიუროში, განვაცხადე და განვახორციელეთ, ვიმეორებ ჩემი სურვილით, სახლ-კარის დაყადაღება და 6 თვით მისი გამოსყიდვის უფლება მეპატრონის მხრიდან.

ამას მოჰყვა მეპატრონეთა მხრიდან საპასუხო ქმედება და გარდა ოფიციალურისა, მათ, დედა-შვილმა ნანამ და გიორგიმ, საკუთარი ხელით დაწერეს გარანტია, რომ თუ 6 თვის შემდეგ ე.ი. 8 აპრილს თანხა გადახდილი არ იქნებოდა, სახლი უპრობლემოდ დაიცლებოდა და შევიდოდი მე, იპოთეკარი.

გავიდა 6 თვე, ვალი არ გადაიხადეს და სცენაზე გამოჩნდა ახალი პირი, თურმე კიდევ ჰყოლიათ ძმები, დაიწყო ჩემი დამუშავება თანხის კიდევ გადავადების მოთხოვნით, მაგრამ მე ამას აღარ დავეთანხმე და როცა წამოვედი, გამომყვა გზაში ალეკო ბიზიკაშვილი, რომელიც ჩემგან თანხმობის არმიღების გამო დამემუქრა **„სახლი როგორც აშენებულა, ისევე დაინგრევა და“**. ჩემთვის თავიდანვე ნათელი გახდა სახლის დანგრევის შესაძლებლობა, მაგრამ მუქარაზე დაყოლებული **„და“** ჩემთვის იყო უცნობი. ვფიქრობ, **„და“** სრულდება დღეს თაღლითური სქემით და ძლიერთა ამა ქვეყნისა, კანონმდებელთა და კანონშემოქმედთა კორუფციული დახმარებით.

**ვინ მეტყვის, რომ მე არ მაქვს უფლება კორუფციაში დავადანაშაულო როგორც მუხრანის პოლიციის, ისე სააღსრულებო ბიუროს თანამშრომლები და მათთან ერთად პირდაპირ იუსტიციის სამინისტროც?**

ჯერ ერთი, საიდან მოვიდა ოჯახში ბავშვები, ეს ბავშვები? შეამოწმეთ მათი დაბადების მოწმობები და ნახავთ, რომ ისინი დაბადებული არიან მას შემდეგ, რაც ეს სახლ-კარი ჩემი საკუთრება გახდა. მეორე, საიდან გაჩნდა 10 სული? თავის დროზე ჩემს მშობლიურ ოჯახში ვცხოვრობდით 13 სული, მაგრამ ყველანი შესაბამისად გარემოებებისა, გავედით და ვცხოვრობთ ჩვენს ბინებში ცალკე, ასეა აქაც. ასევე ყურადღებით, საიდან 10-სულიან, სულ ახალგაზრდებიდან შემდგარ ოჯახში ყველა უმწეოთა რეიტინგით, მაშინ როცა მე ეს სახლ-კარი გადმომიფორმდა, უმწეობის რეიტინგი მომეხსნა და დამატებითი საბუთების (სასამართლოს საქმე) წარდგენის შემდეგ აღმიდგინეს.

მე კატეგორიულად მივმართავ მინისტრ თეა წულუკიანს, სად წავიდა 6-7 წლის წინანადელი თეა წულუკიანი, როცა ის ირაკლი ალასანიას ჯგუფში ოპოზიციაში იმყოფებოდა? მაშინდელი სათნო პიროვნება, დღეს როგორიხის კანონების შემქმნელი და განმხორციელებელი გამოდგა? ეს ქალბატონი მინისტრად აპირებს სიკვდილს? როცა მე მას მივმართე, დამხმარებოდა ხადურთან შეხვედრაში, რომელიც დანაშაულებრივად მიბლოკავს სახელმწიფოზე გაცემული სესხის (ობლიგაციები) დაბრუნებას, იმ ფონზე, რომ ორგანული კანონის 69-ე მუხლის თანახმად ყოველწლიურად ხორციელდება შერჩევით ბენეფიციარზე ამ თანხების გაცემა, მაშინ წულუკიანი ვერ დამეხმარა.

როგორ, სირცხვილი არ არის? რა დაგიშავეთ ამ მოხუცმა ავადმყოფმა კაცმა (სიტყვამ მოიტანა და ერთი მინისტრი ხომ მეც გამოვზარდე)? ეს ფული მე სტრასბურგში მოგებული მქონდა, უნდა განხილულიყო 2013-2014 წლებში, სააკაშვილმა 2 წლით დაასწრო სტრასბურგში ჩასვლა და ვინმე განმწესი მოსამართლის ხაინდრავას დახმარებით საქმე გამოაგდო უკან. დავუშვათ სააკშვილისტი არ ვიყავი, მე ხომ „ქართული ოცნების“ ნებისმიერ თქვენზე კეთილგანწყობილი და აქტიური მომხრე ვარ, ან, არადა, ესეც რომ არ იყოს, იუსტიციის სამინისტრო როგორ შეიძლება მოიაზრებოდეს დამნაშავე სახეების მხარდამჭერად? გამოიკვლიეთ ერთი სკრუპულოზურად თუნდაც ეს ბიზიკაშვილების საქმე და თუ არ გახდება ნათელი, რაც თქვენთვის ისედაც ნათელია, რომ ბიზიკაშვილები არიან სუფთა თაღლითები, ან, არადა, იუსტიციის სამინისტროს, თუ კანონის ზეობა სურს და არა თაღლითური სქემის განხორციელება, რომელშიდაც მე ეჭვი არ მეპარება, თვითონ სამინისტროც სცოდავს. ასეთ შემთხვევაში მიეცით ოჯახს მცირე პროცენტიანი სესხი იმ თანხით, რაც საშუალებას მისცემს ბიზიკაშვილებს, მინიმუმ მაინც დააკმაყოფილონ ჩემი მოთხოვნა.

ჩემი მოთხოვნის მინიმუმი კი არის შემდეგი:

როცა გაფორმდა მეორე ხელშეკრულება 6800 დოლარზე, მას შემდეგ გავიდა 40 თვე, იმ დროისათვის რაიონებისათვის სასესხო პროცენტი იყო 6%. რაღა თქმა უნდა, მე ნაკლებზე არავითარ შემთხვევაში არ დავთანხმდებოდი, რაც შეეხება პირგასამტეხლოს, ის შეადგენდა დღეში 0,3%.

თუ მე წავიდოდი იმაზე, რომ უბრალოდ სესხს გავუხანგრძლივებდი, ასეთ შემთხვევაში ის იქნებოდა პროცენტიანი თვეში 6%. 40 თვეში პროცენტი შეადგენს 16320 დოლარს. მაგრამ თუ მე არ დავთანხმდებოდი სესხის გაგრძელებას პროცენტით, მაშინ ამოქმედდებოდა პირგასამტეხლო დღეში 0,3%, რაც თვეში 612 დოლარი იქნებოდა, 40 თვეში 24480 პლიუს ამას ძირითადი (გასესხებული) თანხა 6800 დოლარი, ჯამი 31280 დოლარი.

**თუ იუსტიციის სამინისტრო კეთილსინდისიერად არის დაინტერესებული საქმის სამართლიანი გადაწყვეტით, რაც შეიძლება მოკლე დროში, მაშინ მე, ქართლოს ზაქარეიშვილი, თანახმა ვარ, მივიღო უპრეტენზიო პირველი ვარიანტი 23120 აშშ დოლარი, წინააღმდეგ შემთხვევაში მე ვუჩივლებ იუსტიციის სამინისტროს.**

**ქალბატონო მინისტრო, მიმიღეთ დაუყოვნებლივ და გამეცით პასუხი, რას მერჩით ამ მოხუც, ავადმყოფ კაცს?!**

**ქართლოს ზაქარეიშვილი**

სასამართლო

# დავით კეზერაშვილს პატიმრობა შეეფარდა

**თბილისის საქალაქო სასამართლოში, ბრალდებულ დავით კეზერაშვილისათვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხი განიხილეს.**

**პროკურატურის ინფორმაციით, მოსამართლემ სრულად გაიზიარა პროკურატურის პოზიცია და გამოძალვისთვის ბრალდებულ დავით კეზერაშვილს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.**



**„დავით კეზერაშვილს ბრალი ედება მოქალაქეთათვის ქონების იძულებით ჩამორთმევაში. კერძოდ, ფოთის პორტში ნავთობპროდუქტებისა და მშრალი ტვირთების გადამუშავებასთან დაკავშირებული ბიზნესწილების მესაკუთრისთვის გამოძალვაში, დანაშაული გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 181-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, რაც სასჯელის სახედ და ზომად 4 დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.**

**საზოგადოებას შევახსენებთ, რომ ამჟამად ინტერპოლის წითელი ცირკულარით დავით კეზერაშვილის მიმართ წარმოებს საერთაშორისო ძებნა“, – ნათქვამია პროკურატურის ინფორმაციაში.**

**ინტერპრესი**



# ან აშშ, ან ღმერთი, მესამე არ არსებობს!..

## რომელი „ფილოსოფიიდან“ გამომდინარეობს ნებისმიერი ნორმალური ქართველის სიმპათია?

**ვაშინგტონში, ერთსქესიანი ქორწინებების დაკანონება, გნებავთ დემო(ტ)რაკიის გამარჯვება თეთრი სახლის ლგბტ ფერებით შეღებვით და ამ ფონზე ბებერი პედერასტების თვალცრემლიანი „ზასაობით“აღნიშნეს...**

**ერთი მაგათი დედაცო!.. — შეუკურთხებს მავანი და დამამუნათებს:**

**პოტომაკის ნაპირებზე ისემც უქნიათ, სარიც უთხრიათ, მერე ჩვენ რაო, ბოლოს და ბოლოს, ვაშინგტონამდე კაი ხნით ადრე, მსოფლიოს ოცზე მეტი სახელმწიფოს დედაქალაქში დააკანონეს ერთსქესიანთა ქორწინებები და რაღა ამერიკაზე „აგვეშალა კუჭი“ ქართველებს?**

**ჰოდა, წინამდებარე წერილის მიზანიც ის არის, რომ მკითხველთან ერთად ვიმსჯელოთ, რამდენად საფუძვლიანი ან უსაფუძვლოა, უკიდურესი შეშფოთება თუ გულარხეინობა ჩვენი „სტრატეგიული მოკავშირე“ სახელმწიფოს მიერ მიღებული კანონის მიმართ?..**

**„ყოველთვის გავაკეთებთ არჩევანს ახალგაზრდებზე, მოვთაფლავთ და გავხრწნით მათ. წინ წამოვწევთ მდაბიო გრძნობებს ლიტერატურასა და ხელოვნებაში. ჩვენ თანდათან მოვუსპობთ მათ სოციალურ არსს. ხელოვანს გადავაჩვევთ, ჩავუკლავთ მისწრაფებებს, შექმნან ღირსეული სახეები. ლიტერატურა, თეატრი, კინო ადამიანის ყველაზე მდაბიო გრძნობების ამსახველი და გამავრცელებელი იქნება. ჩვენ ყველანი მხარს დავუჭერთ და შევაქებთ სექსის, ძალადობის, სადიზმის, გამცემლობის კულტს.“**

ეს გახლავთ ამონარიდი ალენ დალესის საიდუმლო მოხსენებისა აშშ-ის კონგრესისა თუ სენატის (ზუსტად აღარ მახსოვს) წინაშე, რომელიც 1947 წელს შედგა და რომლის სტენოგრამაც მეორე დღესვე იდო სტალინის კაბინეტში!

გავიხსენოთ უახლესი წარსული, ვაშინგტონის „ძაღლიშვილი“ სააკაშვილის 9-წლიანი რეჟიმი:

**ცხვირმოუხოცავი, რიგ შემთხვევებში საეჭვო სექსუალური ორიენტაციის მინისტრები თუ ზოგადად მაღალჩინოსნები; ამორალობის, გარყვნილების მქადაგებელი მწერლები თუ პოეტები (ბუღაძეები, ბურჭულაძე-დეისაძეები და ა.შ.), რომლებიც მიუხედავად მათ მიმართ საზოგადოების აბსოლუტურად უმეტესი ნაწილის მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულებისა, განებივრებულები არიან სხვადასხვა პრემიითა თუ გრანტებით; ე.წ. სატელევიზიო თოქ-შოუები, სადაც აშკარად პროპაგანდირებენ ნორმალური ადამიანის სულის წამწყმედ ქვენა გრძნობებს, რაც ახალი ხელისუფლების პირობებშიც გრძელდება კონჩიტა გაბუნიების მიერ; მართლმადიდებელი დედაეკლესიის დისკრედიტაციის არც თუ წარუმატებელი მცდელობები; ქართველი ერის სულიერი მამის, უწმინდესისა და უნეტარესის პატრიარქის არაერთგზის თავხედური შეურაცხყოფა. გავიხსენოთ სააკაშვილის ფაშისტური რეჟიმის მიერ ახალგაზრდების ქუჩებში დახვრეტა; ციხეებში მასობრივი ტერორი, პატიმართა წამება-გაუპატიურება; ე.წ. ჩაშვების ინსტიტუტის დაკანონება; 7 ნოემბერი, 26 მაისი და ა.შ. ჩამონათვალის გაგრძელება კიდევ შეიძლება, მაგრამ ჩამოთვლილითაც, ვფიქრობ, ურწმუნო თომათათვისაც ცხადი გახდება, რომ ზემოთ ციტირებული ალენ დალესის „კეთილი ზრახვანი“ ე.წ. შეთქმულების თეორიების მოყვარულთა ავადმყოფური ფანტაზიები კი არა, საქართველოში ალენ დალესის თეორიის („პრადვინუტების“ ლექსიკით თუ ვიტყვით) იმპლემენტაციის სასტიკი რეალობაა!..**

და, მიუხედავად ყველაფრისა, 9 წლის მანძილზე საყვედური არ დასცდენიათ საკუთარი „ძაღლიშვილის“, დემოკრატიის შუქურად მონათლული სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის მიმართ!

ის კი არა, უპირობოდ უჭერდნენ მხარს. უჭერდნენ და უარესი — დღესაც მხარს უჭერენ საკუთარი ხალხის სისხლითა და ცრემლით გაუმაძღარ სადისტს, რომელიც, იმის მაგივრად, რომ ციხეში ლპებოდეს, ცინიკურად წამოასკუპეს ოდესის გუბერნატორად?!

**სხვა მრავალთაგან ერთი მიზეზი იოსებ სტალინის მიერ რკინის ფარდის დაშვებისა, ალბათ, ალენ დალესის დოქტრინაც იყო და აკი სანამ რკინის ფარდაში ჯერ ჭუჭრუტანები არ გაჩნდა და ბოლოს სანამ ამერიკის გავლენის აგენტების (გორბაჩოვი და მისი რაზმი) მეცადინეობით ბერლინის კედელი და საბჭოთა კავშირიც არ დაინგრა, ყოფილი საბჭოეთის მოქალაქეთა „ობლიკე მორალეს“ ძვრაც ვერ უყვეს!**

სამაგიეროდ, საკუთარ საზოგადოებას მიხედეს და ერთ დროს ქრისტიანულ ფესვებზე აღმოცენებული დასავლური ცივილიზაცია გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული, ისე გარყვნეს და გაათახსირეს, რომ მივიღეთ ის, რაც მივიღეთ:

**ყოველგვარი იდეალებისგან, მორალისგან, ზნეობისგან, ანუ ერთი სიტყვით თუ ვიტყვით, ღმერთისგან თავისუფალი დასავლეთის ახალგაზრდობა, ვისთვისაც ერთსქესიანი ქორწინებები, ინცესტი, პედოფილია და სხვა გარყვნილებანი მომაკვდინებელი ცოდვა კი არა, ჩვეულებრივი ამბავია!**

1992 წელს გაეროს სამედიცინო კომიტეტმა მამათმავლობა ავადმყოფობათა სიიდან ამოიღო და მას შემდეგ დაიწყო ლგბტ-პედერასტთა ტრიუმფალური სვლა მთელს მსოფლიოში და მანამდე, სანამ აშშ-მა არ დააკანონა ერთსქესიანი ქორწინებები, იმიტომ ვიყავით შედარებით არხეინად მსოფლიოს ოცზე მეტი ქვეყნის მიმართ, რომ ერთია, როცა ამას ჰოლანდია, ან ნორვეგია დააკანონებს და სულ სხვა მნიშვნელობას იძენს, როდესაც ამას მსოფლიო დემოკრატიის ლიდერობაზე პრეტენზიის მქონე ბირთვული ზესახელმწიფო აკეთებს, რის გამოც ლგბტ-პედერასტების ლიდერად მოგვევლინა აშშ, რომლის სახმდივანმა ჯონ ქერიმ მსგავსი „პროგრესის“ დანარჩენ მსოფლიოში ექსპორტირების პირობა დადო!

**ამას კი, საკუთარ სატელიტ ევროკავშირში სულ ადვილად შეძლებენ და თუ ალენ დალესის დოქტრინის მნიშვნელოვანი ნაწილის ზემოთ ხსენებულ იმპლემენტაციას გავიხსენებთ, უდავოა, რომ საქართველოს ჯერიც დადგა და თუ ყურები ჩამოვყარეთ და ახლავე არ დავარისხეთ განგაშის ზარები, ამერიკის ვასალ, გაფარჩაკებულ საქართველოში (რომლის ხელისუფლებებს რატომღაც საქართველო აშშ-ის სტრატეგიული მოკავშირე ჰგონიათ), რომელიც გაძეძგილია ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციებით, გავლენის თუ ნომრიანი აგენტებით, ჯონ ქერის დანაპირების ასრულება არ გაუჭირდება!**

თეთრი სახლის ცისფერი პარასკევი ხვალინდელ შავ დღედ რომ არ გვექცეს ქართველებს, ყველაფერს თავისი სახელი უნდა დავარქვათ და აშშ, თეთრი სახლი უნდა ვაღიაროთ მთელს მსოფლიოში ყოველი უზნეობის დამამკვიდრებელ ბუდედ, საიდანაც აფრენილმა გუგულებმა შხამიანი კვერცხები დადეს მთელს მსოფლიოში ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციების სახით!

**უნდა ვამხილოთ და შესაბამისი ადგილი მივუჩინოთ ამ „კვერცხებს“, თორემ ხომ ვიცით, გუგულის კვერცხებიდან გამოჩეკილი ბარტყები რომ გაიზრდებიან, როგორც წესი, ბუდის ნამდვილ პატრონს აძევებენ იქიდან!**

ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ აშშ-ის მიერ მსოფლიოს გაპედერასტების საქმეში, ერთსქესიანი ქორწინებების დაკანონების სახით, გაეროც აშშ მოკავშირეა!

**საბოლოოდ კი, მსოფლიოს ლგბტ-ზაცია ღმერთთან სატანის ბრძოლას ნიშნავს!**

**გასული საუკუნის 20-30-იან წლებში იყო ე. წ. „უღმერთოთა კავშირი“. თუმცა, ამხ. მალაქია ტოროშელიძის ორგანიზაციის ქმედებებს ღმერთთან სატანის ბრძოლას ვერ დავარქმევდი, რადგან ათეიზმი, რომელსაც ბოლშევიზმი იზიარებდა, არც ღმერთს ცნობდა და არც ეშმაკს ანუ, ყოვეგვარი მისტიკური ძალების არსებობას უარყოფდა!**

აქედან გამომდინარე, ამერიკიდან უხვად დაფინანსებულ დღევანდელ სატანისტებთან შედარებით, საბჭოეთის უღმერთოთა კავშირი უცოდველ კრავად გამოიყურება, რადგანაც ბარაკ ჰუსეინ ობამას, ჰილარი კლინტონის, ჯო ბაიდენის და ჯონ ქერის მეცადინეობით ლგბტ ბინძურმა სექტამ ეკლესიაში (ჯერჯერობით მხოლოდ პროტესტანტულში) შეღწევაც შეძლო, სადაც უკვე გეი მღვდლებიც ჰყავთ და ერთსქესიანი წყვილების ჯვრისწერაც, როგორც ჩვეულებრივი ამბავი, ისე ხდება!

**ეს უკვე აშკარა ბრძოლაა არა მხოლოდ ქრისტიანულ რელიგიასთან, არამედ ყველა იმ კონფესიასთან, რომელიც აღიარებს მამა ღმერთს და მისგან შექმნილ ადამს და ევას, ანუ ბიბლიას და ამიტომ არის ეს სატანის ბრძოლა, გამჩენი ღმერთის წინააღმდეგ!**

ყოველივე ზემოთ თქმულთან მიმართებით, ჩვენში გაჟღერდა რეფერენდუმის ჩატარების იდეა, რაც, ჩემი აზრით, სრული აბსურდია!

რეფერენდუმი რაზე, ხალხო, ბინძური უკანალის მიცემის უფლება-აკრძალვაზე?

ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოში ამის გაფიქრებაც კი ქართველი ერის შეურაცხყოფა და უდიდესი მკრეხელობა მგონია!

აშშ თუ ღმერთი?

აი, ერთადერთი კითხვა ვირტუალური რეფერენდუმისა!

**რეფერენდუმი კი არა, ერთსქესიანი ქორწინებების თემა უნდა გახდეს წყალგამყოფი ქართულ პოლიტიკაში და მომავალი არჩევნებისას მემარცხენე-მემარჯვენეობის, ნატოკატოს მიხედვით კი არა, მხოლოდ იმ პარტიებს უნდა მისცეს ხმა საქართველოს მრავალეროვანმა ამომრჩეველმა, რომლებიც ახლავე დააფიქსირებენ საჯაროდ დამოკიდებულებას ერთსქესიანი ქორწინებების მიმართ!**

მსგავსი „ მინიპლებისცისტი“ ამას წინათ რომელიღაცა ტელევიზიამ ჩაატარა, როდესაც ლგბტ დროშის დაჭერა შესთავაზა პოლიტიკოსებს და ამ მხრივ რესპუბლიკელების, ალასანიას პარტიის, ნაცების ერთგვარი თვითლუსტრაცია შედგა, როდესაც ამ პარტიების წარმომადგენლებმა არ ითაკილეს სატანის მიმდევართა ბაირაღის აფრიალება!

პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილის ცნობილი განცხადების შემდეგ კი ერთ ხმაში აღნავლდნენ ვაშინგტონზე ჭიპლარით გადაბმული გუგულის კვერცხი არასამთავრობოები, პოლიტიკოსები თუ მწერლები:

თამარ კორძაია ღია ტექსტით იმუქრება, რომ ერთსქესიან ქორწინებებს აუცილებლად დაგვიკანონებენ!

ეს ის თამროა, რომელიც „ნახალოვკაში“ მაჟორიტარობის მოგებამდე, არათუ კატეგორიულად „არას“ იძახდა ამომრჩევლებთან შეხვედრებზე, იმაზე, რითიც დღეს გვემუქრება, არამედ რესპუბლიკური პარტიის წევრობასაც კი უარყოფდა და ბიძინა ივანიშვილის ავტორიტეტით დათრგუნვილმა „ნახალოვკამ“ სოსო მანჯავიძეს ის თამრო არჩია. „ნახალოვკა“, მალევე მიხვდა, რომ ეს ის თამრო კი არა, „ნახალოვკელი“ უნამუსო ყოფილა).

**გადეპუტატებულმა დედაკაცმა მალევე შეურაცხყო ჩვენი პატრიარქი, როგორ თუ ქართველი ერისთვის მტკივნეულ საკითხებზე მთავრობისთვის მიუღებელ განცხადებებს აკეთებს, ბარემ ერთი დეპუტატის მანდატი მივცეთო, რის გამოც მთელს „ნახალოვკას“ სიმწრის გმინვა აღმოხდა, ეს რა მაგრად „ვთოხლეთო“...**

ან „მწერალი“ ლაშა „მალიაროვიჩ“ ბუღაძე რად ღირს, რომელსაც თავის დროზე წმინდა თამარ მეფის შეურაცხყოფა შევარჩინეთ და რომელმაც ნაცების დროს მალიარ მამასთან ერთად გვარიანად ქაფაო, ახლა ტუალეტში დემო(ტ)რაკიულ იშტაზე მოსული, ქართველ ხალხს მოუწოდებს ერთსქესიანი ქოწინებების მიმართ ადეკვატური ქცევისკენ და შეურაცხგვყოფს ქართველებს, როცა ამ სიბინძურის მიმართ, ჩვენს კატეგორიულად უარყოფით დამოკიდებულებას რუსეთის პროპაგანდას აბრალებს! **ავოეეე, შე ქათამო!**

**კაცი რომ კაცი უნდა იყოს და ქალი — ქალი, ამას რუსეთის პროპაგანდა სჭირდება?**

ზემოთ ქართველ საზოგადოებასა და პოლიტიკოსებს შორის წყალგამყოფი ვახსენე და ახლა დამატებით დავძენ:

ამ ძველი, მარადიული დეპუტატების, პოლიტიკოსების დაპირებების იმედზე ჩვენი მტერიც ნუ ყოფილა!

**ერთადერთი იმედი, დამცავი ფარი მხოლოდ ქართული მართლმადიდებელი ეკლესია და მისი საჭეთმპყრობელი, უწმინდესი და უნეტარესი პატრიარქია!**

გუგულის კვერცხებს ისე ეშინიათ ფიზიკურად სუსტი მოხუცის ქადაგებებისა, და პირიქით, ისე ეიმედებათ ნაღდ ქართველებს მისი საქართველოში, როგორც არავის სხვისა!

**ღმერთო, დიდი დღე მიეცი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, რათა მტერნი ძრწოდნენ და მოყვარენი სასოებდნენ!**

უფლის იმედით,

**დავით მხეიძე.**

**P. S. „მე არ მაინტერესებს თქვენი კულტურა! სექსუალურ უმცირესობათა უფლებების დაცვა ცივილიზებული ქვეყნების მახასიათებელი ნიშანია და ის ეროვნულ კულტურასა და ისტორიულ ტრადიციებზე მაღლა უნდა იდგეს. გეებისა და ლესბოსელების მომხრეები წარმოადგენენ საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითად ნაკადს. მათი მოწინააღმდეგენი კი ველურები არიან! ქვეყნებმა, რომლებიც არ იცავენ და არ ამყარებენ ლგბტ უფლებებს, უნდა ზღონ არაადამიანურობის გამო“.**

**ამ სიტყვების ავტორი, არც მეტი, არც ნაკლები, აშშ ვიცე-პრეზიდენტი ჯო ბაიდენია!**

**ახლა საზოგადოებამ განსაჯოს, საქართველოში ამ ბოლო დროს აშკარად მომატებული ანტიამერიკული განწყობები რუსული პროპაგანდის შედეგია თუ თავად ამერიკელი „ბაიდენებისა“?..**

**ბარაკ ჰუსეინ ობამამ ერთსქესიანი ქორწინებების დაკანონებას ამერიკის გამარჯვება უწოდა, რითიც საბოლოოდ ჩამოიხსნა ნიღაბი, გნებავთ, უფრო უპრიანად, ნიღაბი არა, შარვალი ჩაიხადა!**



**ვლადიმერ პუტინი კი კატეგორიული წინააღმდეგია, რომ მსგავსი „გამარჯვება“ რუსეთმაც იზეიმოს ოდესმე!**

**ამ ორი „ფილოსოფიიდან“ გამომდინარე, ჩემი და ნებისმიერი ნორმალური ქართველის სიმპათიები, რომ მთლიანად ვლადიმერ პუტინს ეკუთვნის, ესეც რუსული პროპაგანდის შედეგია?..**

**დ. მ.**

# მთავარია, „საჭირო დროს საჭირო ადგილზე აღმოჩნდე“

**„ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა კარიერა იმით გაიკეთა, რომ საჭირო დროს, საჭირო ადგილზე აღმოჩნდა: გაიარა სინჯები როლზე, მიიღო როლი, შეასრულა როლი, თან ისე, რომ საჭიროების შემთხვევაში, რეჟისორთან მოლაპარაკებებსაც ახერხებდა“ – ასე იწყებს თავის სტატიას პატივცემული თედო ჯაფარიძე პიროვნებაზე, რომელმაც შეძრა საქართველო, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით და არა მარტო ის, არამედ რეგიონიც, იქნებ თანამედროვე პოლიტიკაც?!**

სააკაშვილის პიროვნების აჩრდილი, რომ კარგა ხნის განმავლობაში გაჰყვება მისგან შეწუხებულ საქართველოს მოსახლეობის ნაწილს, შესაძლოა უმრავლესობას, ფაქტია. მაგრამ იქნება თუ არა ის აჩრდილი და არა რეალობა – ჯერაც გასარკვევია. სააკაშვილის პოლიტიკური აწმყოსა და მომავლის გამოცნობა ისეთივე ძნელია, როგორც მისი პოლიტიკური ცხოვრების დასაწყისში იმის განჭვრეტა, რომ ის ოდესმე გახდებოდა არათუ მინისტრი, არამედ ქვეყნის პრეზიდენტი – ქვეყნის და არა ესოდენ მომრავლებული შპს-ს პრეზიდენტი.

მე თუ მკითხავთ, სააკაშვილის გაპრეზიდენტებამ, მანამდე კი გამინისტრებამ მძიმე დაღი დაასვა სახელმწიფოებრიობის ამ ორივე ინსტიტუტს, გამოიწვია დევალვაცია, ანუ იმ დონეზე გაუფასურება, რომ ქართველ კაცს მრავალი წლის განმავლობაში ალმაცერი, დამცინავი დამოკიდებულება ექნება აღნიშნული თანამდებობებისადმი. ამასთანავე, გააჩინა ისეთი რამ, რასაც სააკაშვილამდე არც იფიქრებდა – თუ ის იყო, მე რატომ ვერ ვიქნები?!

სააკაშვილის მიდგომა სახელმწიფო ინსიტუტებისადმი იყო თითქოს ზერელე, ფუქსავატური, მაგრამ ოდნავი ჩაფიქრებისა და გაანალიზებისთანავე – შორსმიმავალი, მზაკვრული, ერთმმართველობისთვის გამიზნული. ყოფილი პრეზიდენტის მიერ გატარებული რევოლუციური გარდაქმნები სიღრმისეულად იყო შესწავლილი მისი და მისი გუნდის მიერ (მოდით ნუ დავუკარგავთ ამას) და გამიზნული იყო არსებულის ძირფესვიან შეცვლაზე.

2003 წლის „ვარდების რევოლუცია“ ნამდვილად არ იყო სისხლიანი გადატრიალება, მაგრამ ის იყო მართლაც რევოლუცია – თავისი შედეგებით და შემართებით, რომელიც დღესაც გრძელდება. ვერ დავეთანხმები იმათ, ვინც საწინააღმდეგოს ამტკიცებს. მათი აზრით, „რევოლუცია“ სისხლს უკავშირდება, რასაც 2003 წელს არ ყოფილა. და რახან არ ყოფილა, „ვარდების რევოლუცია“ რევოლუცია კი არა, სამთავრობო გადატრიალება იყო და მეტი არაფერიო. 2003 წელს სისხლი არ დაღვრილა, მაგრამ რევოლუციურმა რეფორმებმა ხომ სისხლიც გამოიწვია, ომიც და ტერიტორიების დაკარგვაც, სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ?!

**სააკაშვილის დამოკიდებულება სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი რომ დამანგრეველი იყო, მტკიცება არ სჭირდება. მის მიერ მინისტრებად, სხვა მაღალ თანამდებობებზე დანიშნული გოგო-ბიჭები – ერთობ უსწავლელნი, გამოუცდელნი, მაგრამ ერთგულნი პრეზიდენტისა, ემსახურებოდნენ ერთს – პრეზიდენტის პიროვნების კულტის შექმნას, მის თაყვანისცემას და, რაც მთავარია, პრეზიდენტის მიერ ნებისმიერი დარგის პირდაპირ მართვას, რამეთუ უმეცარი მინისტრი ან თანამდებობის პირი, მუდამ სააკაშვილის თვალებში შემციცინე, უსააკაშვილოდ თითს რომ არ გაანძრევდა, იმთავითვე იყო ცნობილი.**

სააკაშვილის ინიციატივით შეიქმნა მოჭარბებულად ვერტიკალური – ერთი კაცის მმართველობის სისტემა. იყვნენ მინისტრები, მაგრამ იყვნენ იმისთვის, რომ უნდა ყოფილიყვნენ, ვინაიდან ასეა მთელს მსოფლიოში - დემოკრატიულშიც და ნაკლებდემოკრატიულშიც. იყო მინისტრი, მაგრამ არ იყო, ვინაიდან არ იყო მის მიერ გაკეთებული საქმე. მინისტრებს, რომლებსაც ჰქონდათ ოდნავი მოქმედების უფლება - ელიტარულ მმართველობაში შედიოდნენ და პრეზიდენტთან ერთად „ჭრიდნენ“ საჭირბოროტო საკითხებს.

სააკაშვილის „რეფორმა“ არა მარტო სახელმწიფო სტრუქტურას შეეხო, არამედ ყველა დარგს. არაკომპეტენტურობამ, უცოდინრობამ, გამოუცდელობამ, ამასთანავე გაუგონარმა ამბიციურობამ გაანადგურა ქვეყანა, თუმცა, მედიის დახმარებით, ის ისეთად იყო წარმოჩენილი, თითქოს მთელი მსოფლიო საქართველოზე ფიქრობდა, ლაპარაკობდა, საქართველოთ ხარობდა.

შეკვეთილი, ფულიანი სტატიების ბეჭდვა უცხოურ პრესაში, წინათ ჩვენ რომ სიმართლისა და დემოკრატიის სავანე გვეგონა, ჩვეულებრივ ამბად იქცა. პრესას, არც საქვეყნოდ ცნობილი ტელეკომპანიები „CNN“-ი, „Euronews“-ი, „BBC“-ი, სხვები ჩამორჩებოდნენ. ვინ მოთვლის რამდენჯერ დამოძღვრა მსოფლიო „დემოკრატიის შუქურად წოდებულმა“ სააკაშვილმა? უცხოეთში ყოფნისას, როდესაც მეკითხებოდნენ – საიდან ვარ? პასუხზე, ისინიც – ააა! საქართველოდან, სააკაშვილი! იშვიათად მესმოდა – ეს, რომელია, რუსეთის შემადგენლობაში რომ იყო?

**გვინდა თუ არა – უნდა ვთქვათ, რომ სააკაშვილის პიროვნებას დიდი წვლილი მიუძღვის თვითრეკლამის შექმნის საქმეში. დიახ! ის „აპიარებდა“ საქართველოს არა საქართველოსთვის, არამედ საკუთარი თავისთვის, ვინაიდან საქართველოს რეკლამა იყო მისი რეკლამა, როგორც საქართველოს პრეზიდენტის.**

დიახ! „საჭირო დროს საჭირო ადგილზე აღმოჩნდა“, მაგრამ ხომ აღმოჩნდა? და რომ აღმოჩნდა, მისი დამსახურებაა, მისი მცდელობის ნაყოფია, მისი თავდადებაა. ბევრი ვიცი, ვისაც ლამის ლანგარით მიართვეს წინსვლა, მაგრამ ვერ გამოიყენა, ვერ გაამართლა ნდობა. ავიღოთ თუნდაც ალასანია. მასშიც საკმაო ფული დახარჯა აშშ-ის სპეცსამსახურებმა, მასაც სასათბურე პირობები შეუქმნა და დიდი პოლიტიკისთვის აშკარად შეუფერებელი ჭიაღუა, პოლიტიკოსად აქცია, მაგრამ ვერ გაამართლა, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით.



სააკაშვილმა გაამართლა. გაამართლა თავისი სიგიჟით, არაადეკვატურობით, ყურმოჭრილი მონობით (ამაში მას არც ალასანია და არც ერთი სხვა წვრილფეხა პოლიტიკოსი არ ჩამოუვარდება), საკითხის სწრაფი გადაჭრით, თავხედობით, რუსეთისადმი დაუძინებელი მტრის იმიჯის წარმოსახვით.

სააკაშვილი იყო ის პიროვნება, რომელსაც აშშ წლების განმავლობაში უძებნიდა საქართველოს და არა მარტო მას, მაგრამ ის, რომ ჩახუტება მოხდა, ამაში უდიდესი წვლილი თვით სააკაშვილს მიუძღვნის. მან ყველაფერი გააკეთა „მიეღო როლი“, შემდეგ წარმატებით შეესრულებინა ის. მართალია, საქართველოს არ მოსწონს მის მიერ შესრულებული როლი, მაგრამ ეს სულაც არ აღელვებს რეჟისორს, პროდიუსერს, და რომ არ აღელვებს - სწორედ სააკაშვილის დამსახურებაა.

**დედამიწის ზურგზე იშვიათად მოიძებნება პრეზიდენტი, ქვეყნის პირველი პირი, რომელიც აღვირახსნილი მრუშობით იყოს ცნობილი როგორც შინ, ისე გარეთ. მერე რა? ვერც იქ და, მითუმეტეს, არც აქ, ამის გამო სააკაშვილი არავის შეურისხავს საჯაროდ, საქვეყნოდ არავის შეურცხვენია. მის მიერ ჩადენილი აღვირახსნილობა ხომ ჩვეულებრივი მოქალაქის გარყვნილება არ იყო.**

პრეზიდენტს რომ თავშეკავება მართებს, კარგად იცის აშშ-მა. ისიც კარგად იცის, რომ ოჯახის სიწმინდის წამბილწველი პრეზიდენტი ვერ იპრეზიდენტებს და, ალბათ, ასეც იქნებოდა ბილ კლინტონის სქესობრივი ისტორიის შემთხვევაშიც, რომ არა დარჩენილი საპრეზიდენტო ვადის სიმცირე, რამაც ის იმპიჩმენტისგან იხსნა.

რა იქნება დღეს – ძნელი სათქმელია, ვინაიდან ერთსქესქორწინებადაშვებული ქვეყანა რომ ერთ მშვენიერ დღეს „მტკიცე კაცური“ ოჯახის მქონე პრეზიდენტს ეღირსოს, არ გამიკვირდება. რითაა აშშ ლუქსემბურგზე უარესი? იქ ხომ პრემიერმა მამაკაცმა მამაკაცზე დაიწერა ჯვარი?!

აშშ-მა, რომელმაც ზედმიწევნით კარგად იცოდა პრეზიდენტ სააკაშვილის მრუშობა – არაფრად ჩააგდო ეს. არც ჩვენ ჩავაგდეთ, გავიძახოდით, ახალგაზრდა კაცია და ეპატიებაო. ეპატია და სწორედ მრუშობის გზით ერს თავზე წამოასვა მის საწოლგავლილი გოგონები – ზოგი მინისტრად და ზოგიც რად.

სააკაშვილს მარტო ეს ეპატია? სააკაშვილს ეპატია დემონსტრანტების უმოწყალო დარბევა, ცემა-ტყეპა, მკვლელობა, სახელმწიფო ქონების მითვისება, ომის დაწყება, დამარცხება, ტერიტორიების დაკარგვა, უამრავი რამ, რისთვისაც ნებისმიერ პოლიტიკოსს აშშ-ში სიკვდილით დასჯა არ ასცდებოდა, სხვა ქვეყანაში – სამუდამო პატიმრობა. ის კი თავისუფლად ნავარდობს – აშშ-ის მხრიდან ზურგგამაგრებული.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი რომ თავის ანგარიშში სააკაშვილსა და მის გუნდს დაიცავს – სააკაშვილის მარიფათის, მისი შრომის ნაყოფია, რამაც შეაძლებინა აშშ-ის გარკვეული პოლიტიკური წრეების მოხიბლვა.

დიახ, სააკაშვილმა მოახერხა ყოფილ პრეზიდენტ ბუშის, იმჟამინდელი და ამჟამინდელი ამერიკელი პოლიტიკოსების, დიპლომატების მოხიბვლა და ეს გააკეთა გაცილებით უკეთ, მიზანმიმართულად, ვიდრე ნებისმიერმა სხვამ. გავიხსენოთ არჩევნებში გამარჯვებული იანუკოვიჩის დაბადების დღეზე სააკაშვილის გამოჩენა იალტაში, მილოცვა და უკან დაბრუნება. არ დაგავიწყდეთ, ეს ის იანუკოვიჩი იყო, ვისაც გამარჯვებამდე უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავდა და უფრო მეტიც – გადაცმულ პოლიციელებსაც კი აგზავნიდა უკრაინის ბუნტის დასაწყებად, იანუკოვიჩის გამარჯვების შემთხვევაში. რომელი თავმოყვარე პოლიტიკოსი იკადრებდა ამას?!

2004 წლის არჩევნებში გამარჯვების დროს მას – ერთადერთ ავტონომიადარჩენილს, ესაჭიროებოდა აჭარის ლიდერის ასლან აბაშიძის ნეგატიური განწყობის განეიტრალება, რისთვისაც შემდეგი ნაბიჯი გადადგა – მოიწვია პარლამენტის ფრაქციათა ხელმძღვანელები, მედია და ღია, პირდაპირ ეთერში ისე აქო აბაშიძე და მისი მმართველობა, თითქოს არასდროს ეგინებინოს. მან მაშინ მოსკოვის მერი ლუჟკოვიც შეაქო – აჭარასთან თანამშრომლობისთვის. ამ ამბებიდან სამი თვის შემდეგ ლაშქრით მიადგა ჩოლოქს, აბაშიძის ჩამოსაგდებად.

დიახ! სააკაშვილს შეეძლო და შეუძლია გააკეთოს ის, რაც სხვას არა. ამიტომაც მოსწონს ის აშშ-ს და აქედან გამომდინარე, ევროკავშირსაც. ორთა სიყვარული კომუნისტურ ლოზუნგს მაგონებს – „ვამბობთ ლენინს, ვგულისხმობთ პარტიას, ვამბობთ პარტიას, ვგულისხმობთ ლენინს“.

**საააკაშვილმა გაამართლა. გაამართლა თავისი სიგიჟით, არაადეკვატურობით, ყურმოჭრილი მონობით (ამაში მას არც ალასანია და არც ერთი სხვა წვრილფეხა პოლიტიკოსი არ ჩამოუვარდება), საკითხის სწრაფი გადაჭრით, თავხედობით, რუსეთისადმი დაუძინებელი მტრის იმიჯის წარმოსახვით.**

ბატონმა თედომ ობიექტურად, ზედმიწევნით ოსტატურად დახატა სააკაშვილის პორტრეტი, მაგრამ, ჩემი აზრით, ერთი შტრიხი გამორჩა თუ გამოტოვა. ეს შტრიხი – აშშ-ის როლია პოსტსაბჭოთა სივრცეში, განსაკუთრებით საქართველოში. არ იქნებოდა აშშ ისეთი, როგორიც არის და არ იქნებოდა სააკაშვილი საქართველოს პრეზიდენტი და ოდესის ოლქის გუბერნატორი.

აშშ-ზე ბრმად შეყვარებული ზოგი ქართველი დღესაც თვლის, რომ ამერიკა არის საქართველოს ერთადერთი მხსნელი. ამ კატეგორიას ბინდი აქვს გადაკრული თვალებზე, დახშული აქვს ყურები და თუ მათ ხსნის, მხოლოდ ამერიკული „რუსთავი-2“-ს მოსასმენად.

**სააკაშვილის გასააკაშვილებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის შევარდნაძის ხელისუფლებას. სწორედ ის იყო უპირველესი შემოქმედი ჟვანიასა და მისი გუნდის აღზევებაში. სწორედ შევარდნაძემ გაასპიკერა ჟვანია, ხოლო სააკაშვილი პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარედ გაამწესა, შემდეგ – უმრავლესობის ლიდერად, მინისტრად და ა.შ.**

მან ვერ გათვალა, რომ ესოდენ დაულაგებელი პიროვნება, თანაც ამბიციური, დიდხანს არ დარჩებოდა შევარდნაძის „ფრთებქვეშ“. ასეც მოხდა.

სააკაშვილი აქტიურობს, მაგრამ რას უპირისპირებს მას ხელისუფლება, საზოგადოება? არც არაფერს. მერე, როდესაც სააკაშვილი შემობრუნდება და ამ საქმეში, როგორც ყოველთვის, ამერიკა დაუჭერს მხარს, ვიტყვით: „სააკაშვილი საჭირო დროს საჭირო ადგილზე აღმოჩნდაო“.

ის, რომ სააკაშვილი ოდესაშია, აშშ-ისა და პოროშენკოს პოლიტიკური შემოქმედებაა. იქ სხვებიც არიან, თანაც მრავლობით რიცხვში. და თანაც იმისთვის, რომ „გამოიზამთრონ“. პოლიტიკური „გამოზამთრება“ ჰქვია ამას. მას უდავოდ მოჰყვება დროებითიდან ნამდვილ სამშობლოში კატაპულტირება და ამაშიც უდიდეს წვლილს ჩვენი „საყვარელი“ აშშ შეიტანს.

**„ჩემი შეშფოთება უკრაინის მომავალს უკავშირდება, რამდენადაც მძიმე შედეგები გავლენას ახდენს როგორც საქართველოს, ასევე მოლდოვის დამოუკიდებლობაზე“,** – წერს პატივცებული თედო, რაშიც ვეთანხმები. მაგრამ ვინ შეუქმნა უკრაინას ესოდენ „წარმტაცი“ აწმყო, რომელიც ვერა და ვერ შობს ჯანსაღ მომავალს?! – სააკაშვილის აღმომჩენმა აშშ-მა! მან ისე მოაოხრა 45-მილიონიანი უკრაინა, რომ მისი არსებობა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა. სხვას ვერაფერს იტყვი, როდესაც უკრაინელზე დღეში1,5 დოლარი მოდის; როდესაც ქვეყანას 70 მილიარდი დოლარის ვალი აქვს.

სააკაშვილი უკრაინისთვის ახალი ამერიკული პროექტია, რის შესახებაც სულ ახლახან ემცნო საზოგადოებას. ამ პროექტს ამერიკული ფონდები აფინანსებენ. თვით ამერიკის ადმინისტრაცია თვლის, რომ სააკაშვილის ოდესურმა პროექტმა დიდი წარმატება უნდა მოუტანოს უპირველესად ამერიკას.

ოდესა ზღვისპირა ქალაქია, დიდი საზღვაო პორტითა და შესაძლებლობებით, სადაც აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების ფეხის მოკიდება სააკაშვილის მარიფათზეა დამოკიდებული. ახალი ინსტრუქციების მისაცემად უკრაინაში აშშ ელჩი პაიტი აპირებს ოდესის მონახულებას და სააკაშვილთან შეხვედრას. ვიძახოთ ახლა სააკაშვილი კრიმინალიაო.

საქართველოს ხელისუფლება კი ელოდება. ელოდება უკრაინასთან სტრატეგიულ პარტნიორობას. დელეგაციას-დელეგაციაზე აგზავნის კიევში – ვითანამშრომლოთო. ის კი წიხლს გვთავაზობს და ნაცვლად დამნაშავე სააკაშვილის, სხვათა ექსტრადირებისა, თანამდებობას თანამდებობაზე აცვლევინებს. ისე, კაცმა რომ თქვას, ასეთი საქართველოსთვის, სტრატეგიული პარტნიორი უკრაინა, ნამდვილი მისწრებაა.

ჩვენ ორივემ შესანიშნავად ჩავაბარეთ გამოცდა საერთო მასწავლებელ ამერიკას. მუყაითად ვასრულებთ და შევასრულებთ მის ნებისმიერ დავალებას. ჩვენ ხომ ორივენი სააკაშვილების, პოროშენკოების, იაროშების, ადეიშვილების, თარგამაძეების, იაცენიუკების, ტიმოშენკოების, სხვა ტვინგარეცხილ,



ურცხვ პიროვნებათა სავანე ვართ – სავანე, რომელიც სააკაშვილივით „საჭირო დროს საჭირო ადგილზე აღმოჩნდა“. ერთია – ეს საჭირო ადგილი უბედურებად არ გვექცეს.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**

კანონპროექტი

# ... მთები დგანან და ელიან...



**გეოგრაფიული მდგომარეობიდან გამომდინარე, საქართველოსთვის, რომლის ტერიტორიის ნახევარზე მეტი მთაგორიანია, მაღალმთიანი რეგიონების განვითარებას, იქაური მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ ყოფასა და კულტურას, უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამდენად, ხელისუფლების შიდა პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტი სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტაა. ამჟამად, საკმაოდ ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ, სპეციალურმა სახელმწიფო კომისიამ უკვე დაასრულა მუშაობა 1999 წელს მიღებულ „მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესახებ კანონში" შესატან ცვლილებებზე, რომელიც პარლამენტში წარადგინა.**

მთავრობის ეკონომიკურმა საბჭომ აღნიშნულ ცვლილებათა პაკეტი მოიწონა, რომლითაც მაღალმთიანი რაიონების მოსახლეობისთვის მთელი რიგი სოციალური და საგადასახადო შეღავათი დაწესდება, ცხადია, მას შემდეგ, რაც მას პარლამენტი მიიღებს. ამ ნაბიჯის ზედმეტად დადებითად შეფასება ძალიან ძნელი საქმეა, ვინაიდან საყოველთაოდაა ცნობილი, რომ ჩვენი მთა კატასტროფულად დაცარიელებულია, იქ ყოფნა ხალხს არათუ ზამთარში, ზაფხულშიც უჭირს, ამდენად, უწინარესად, მკვიდრი მოსახლეობის მშობლიურ მხარეში დამაგრებასა და წამოსულთა მიბრუნებას აღნიშნულმა ცვლილებებმა დიდად უნდა შეუწყოს ხელი.

16 წლის წინათ მიღებულ კანონში შესატან ცვლილებათა პაკეტის შინაარსზე კონკრეტულად თუ ვილაპარაკებთ, **მეწარმე ფიზიკური პირები 10 წლით საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლებულები იქნებიან, იურიდიულ პირები კი ამავე ხნის მანძილზე —ქონებისა და მოგების გადასახადისგან. ამ შემთხვევაში, ასეთ ფიზიკურ პირებად მიჩნეულნი იქნებიან ისინი, ვინც ფერმერულ საქმიანობას ეწევიან, მაღაზია ან საოჯახო ტიპის სასტუმრო აქვთ, იურიდიულ პირებში კი უფრო დიდი მეწარმეები ჩაითვლებიან.**

**სოციალური შეღავათების მხრივ ცვლილებები შეეხებათ მთაში მუდმივად მცხოვრებ პენსიონერებს, ექიმებსა და ექთნებს, ასევე პედაგოგებს. კერძოდ, მთაში მცხოვრებ პენსიონერებს, მომავალი საბიუჯეტო წლიდან პენსია 32 ლარით გაეზრდებათ, მაღალმთიანი რაიონების ექიმების ხელფასის დანამატი 320 ლარი, ხოლო ექთნებისა — 160 ლარი იქნება. პედაგოგებს კი ხელფასებზე სულ მცირე, 150 ლარი დაემატებათ.**

„მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესახებ კანონში" ცვლილებების დამტკიცების შემდეგ, მის დებულებათა აღსასრულებლად სახელმწიფო ბიუჯეტში სამი წლის მანძილზე რამდენიმე ათეული მილიონი ლარი იქნება გათვალისწინებული, რომელიც იმ შეღავათების დასაფარავად იქნება გამოყენებული, რომლებიც მთის მოსახლეობას და იქაურ საწარმოებს ექნებათ.

აღსანიშნავია ისიც, რომ ცვლილებათა პაკეტში სათანადო ყურადღება აქვს დათმობილი მთაში საგანგაშო დემოგრაფიული მდგომარეობის გამოსწორებაზე მიმართულ ნაბიჯებს. კერძოდ, **ყოველ შვილზე მთაში მუდმივად მცხოვრები მშობლები ერთი წლის განმავლობაში ყოველთვიურად 100 ლარს დახმარებას მიიღებენ, ხოლო ახალდაქორწინებულებზე სახელმწიფო, სავარაუდოდ, ერთგვარი „საქორწინო საჩუქრის" სახით 10 ათას ლარს გასცემს.**

ჩანაფიქრი, დაგვიანებაზე არაფერი რომ ვთქვათ, დროულია, თუმცა კი, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კანონპროექტიდან ოფიციალურად დაკანონებამდე ცვლილებებს პარლამენტში დამტკიცება სჭირდება. ამასთან დაკავშირებით კი, როგორც ჩანს, გარკვეული ზღუდეები იქნება გადასალახავი.

— საბოლოო ვარიანტზე შევთანხმდით, იგი პარლამენტში განსახილველადაც გადავაგზავნეთ. თუმცა კი, ეჭვი მაქვს, რომ იქ მას სერიოზული წინააღმდეგობა შეხვდება, რადგან პარლამენტარები იმაზე მეტ ცვლილებებს მოითხოვენ, ვიდრე ამის გაკეთების შესაძლებლობა დღესდღეობით სახელმწიფოს აქვს. გასაკეთებელი ჩვენი აზრითაც გაცილებით მეტია, მაგრამ მეტი ტვირთის აწევას სახელმწიფო ბიუჯეტი ვერ შეძლებს, ამ შემთხვევაში მეტად მნიშვნელოვანია თავად ტენდენცია. კანონი მთელი სისრულით თანდათანობით სამ წელიწადში ამოქმედდება: **პირველ, 2016 წელს, მთის მოსახლეობისთვის დამატებით 12 მილიონი ლარი გამოიყოფა, მომდევნო წელს — 30 მილიონი ლარი, შემდეგ კი კიდევ 50 მილიონი ლარი,** — აღნიშნა საკითხთან დაკავშირებით რეგიონულ განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა **ნოდარ ჯავახიშვილმა.**

„მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესახებ კანონში" სამომავლო ცვლილებებს, თავის მხრივ, ბუნებრივია, ფინანსთა მინისტრი **ნოდარ ხადურიც** ეხმაურება და ამბობს, რომ ეს მაღალმთიანი რეგიონების განვითარებაზე მიმართული მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯია, რომელიც, არსებითად, კომპლექსურ ღონიძიებათა ერთობლიობაა.

— იმედი გვაქვს, რომ კანონი სერიოზულად შეუწყობს ხელს მაღალმთიან რეგიონებში სამეწარმეო საქმიანობის განვითარებას. პირველ ეტაპზე მთა თვითკმარი გახდება, იქ შექმნილი პროდუქცია ადგილობრივი მოსახლეობისთვის საკმარისი იქნება, ხოლო შემდეგ, დარწმუნებული ვარ, ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით საქართველოს ბარის მხარეებსაც მოამარაგებს, — აცხადებს ბატონი ხადური.

საექსპერტო შეფასებით, ისეთი მექანიზმები, რომლებიც „მთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესახებ კანონში", სავარაუდოდ, ჩაიდება, რომელთა მიზანი ადგილობრივი მოსახლეობისათვის დახმარების გაწევა და სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობაა, მსოფლიოს მრავალ მთიან, მათ შორის, ალპების მიმდებარე ქვეყნებში მოქმედებს. ეს იმითაა განპირობებული, რომ, ვთქვათ, იტალიაში, საფრანგეთში თუ სხვაგან, მთის, როგორც სოციალურ-ეკონომიკურ-კუტურული ზონის შენარჩუნება, ხელისუფლებისთვის პრიორიტეტს წარმოადგენს. ამავე დროს, ცხადია, ქაღალდზე, თუნდაც უმაღლეს დონეზე გაფორმებული ცვლილებები, არაფრისმაქნისი იქნება, თუკი მათ განხორციელებაზე როგორც ფედერალური, ასევე ადგილობრივი ხელისუფლება სათანადოდ არ იზრუნებს. ამავე დროს ნურც ის დაგვავიწყდება, რომ წლების მანძილზე ლამის გაპარტახებული ჩვენი მთის მოსახლეობის მდგომარეობის მყისიერად გამოსწორება და ხალხისთვის, უმთავრესად ახალგაზრდებისთვის, თანამედროვე ცივილიზებული პირობების შექმნა, მატერიალური თუ სოციალური ყოფის საგრძნობლად გაუმჯობესება ერთი და ორი წლის საქმე არ არის, ამას გარკვეული დრო და, რაც მთავარია, ერთიანად ყველას მონდომება სჭირდება.

**ოთარ ტურაბელიძე**

ავტობიზნესი

# რა გახდა რუსთავის ავტობაზრობის გაყიდვის მიზეზი

**რუსთავის ავტობაზრობის გაყიდვის სურვილს მეპატრონე აღნიშნულ ბიზნესში შექმნილ პრობლემებს არ უკავშირებს.**

როგორც კომპანია „ავტოპაპას" გენერალურმა დირექტორმა ევგენი უსტინოვმა bpn-ს განუცხადა, ავტობაზრობის პროექტი მისი მფლობელის, უკრაინული „პრივატბანკისთვის" არაპროფილური ბიზნესი იყო. კომპანია კი ამ ეტაპზე გეგმავს კონცენტრირებას მხოლოდ თავის ძირითად საქმიანობაზე როგორც უკრაინაში, ასევე უცხოეთში („პრივატბანკი" ლატვიასა და კვიპროსზე ბანკებით არის წარმოდგენილი, ხოლო პორტუგალიაში, იტალიასა და გერმანიაში — ფილიალებით).

**„როცა „პრივატბანკს" საქართველოში თავისი ბანკი ჰქონდა, ჩვენ ვიყენებდით ორივე პროექტის სინერგიას. ამჯერად გადავწყვიტეთ, მოვიზიდოთ საქმიანი პარტნიორი. მოლაპარაკებები პოტენციურ პარტნიორებთან უკვე მიმდინარეობს, გამოცხადებულია აუქციონი, თუ შესაფერისი წინადადება იქნება, განიხილება მთლიანი აქტივების გასხვისება",** — აცხადებს უსტინოვი.

მისი თქმით, მართალია, 2014 წელს 2013 წელთან შედარებით, კომპანიის ბიზნესაქტივობა შემცირდა, თუმცა, ვითარება გაუმჯობესდა 2015 წლის პირველ ნახევარში, ძირითადად, ავტომობილების პირველადი რეგისტრაციის, ანუ თავად საქართველოს მოქალაქეების მიერ შესყიდვების ზრდის ხარჯზე.



ევგენი უსტინოვმა უარყო მოსაზრება, რომ აზერბაიჯანის მიერ შარშან ავტომანქანების ექსპორტზე დაწესებული შეზღუდვების გამო საქართველომ დაკარგა რეგიონული ჰაბის ფუნქცია. შეზღუდვები ითვალისწინებდა მხოლოდ „ევრო 4"-ის სტანდარტის მანქანების შეყვანას ქვეყანაში, რამაც ავტომობილების რეექსპორტი საქართველოდან გაანახევრა და ბიზნესის კოლაფსი გამოიწვია.

**„საქართველო კვლავ განაგრძობს კავკასიაში ავტოჰაბის ფუნქციის შესრულებას, პირველ რიგში, საზღვაო პორტების, ფოთისა და ბათუმის წყალობით. ამ მიმართულების გამო, ვფიქრობ, პერსპექტიული იქნება მომავალშიც, რადგან აზერბაიჯანსა და სომხეთს არა აქვთ ზღვაზე გასასვლელი და დაინტერესებულნი არიან გამოიყენონ საქართველოს ტერიტორია ტვირთების ტრანზიტისთვის",** — აღნიშნა „ავტოპაპას" დირექტორმა.

უსტინოვმა ასევე უარყო გავრცელებული ინფორმაცია, რომ რუსთავის ავტობაზრობის ყიდვით დაინტერესებულია აზერბაიჯანული სახელმწიფო კომპანია „სოკარი".

აუქციონზე გასაყიდად რუსთავის ავტობაზრობა 3 ივლისს გამოიტანეს. კომპანიის საწყისი ფასი 30 მილიონი დოლარია. AUTOPAPA საქართველოში წარმოდგენილია რამდენიმე კომპანიით, მათ შორისაა, შპს „მიკადო ჯორჯია", შპს „რუსთვის ავტობაზრობა" კომერციულ პროექტებთან ერთად, ავტობაზრობის ოპერაციული მართვა, შპს „რუსთავტერმინალ პლუსი" და შპს რუსთავ-კომფორტი სასტუმრო კომპლექსის ოპერაციული მართვა, კვების ობიექტებთან ერთად. „კომპანია PricewaterhouseCoopers(PWC) მიერ მიმდინარე წლის ივნისში „AUTOPAPA" ჯგუფის მეწარმეთა ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობის ანალიზის თანახმად, ბიზნეს ჯგუფის საბაზრო ღირებულების დიაპაზონი განისაზღვრა 41,7-დან 54,1 მილიონ ლარამდე. PWC-ის ექსპერტთა აზრით, „AUTOPAPA" მეწარმეთა ჯგუფის მაქსიმალური სავარაუდო ღირებულება, შესაძლებელია იყოს 76,9 მილიონ ლარამდე", — ნათქვამია eauction.ge-ზე განთავსებულ ინფორმაციაში.

**ბელა ნოზაძე**

ალიან-ჩალიანი

# 5 ათასზე მეტი აღსაზრდელი, ვიდრე შარშან

**გასულ წელთან შედარებით, წელს თბილისის საბავშვო ბაღები 5 000-ზე მეტ ბავშვს მიიღებენ, — ამის შესახებ თბილისის საკრებულოში საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ თამარ ტალიაშვილმა განაცხადა.**

**თამარ ტალიაშვილის თქმით, გასულ წელს თუ საბავშვო ბაღებში 49 700 ბავშვი დადიოდა წელს 55 000 ბავშვი ისწავლის. მისივე თქმით, იანვრისთვის ოთხი ახალი საბავშვო ბაღი შევა ექსპლუატაციაში. თამარ ტალიაშვილმა დასძინა, რომ ეს ყოველივე იმ პირობებში ხდება, როდესაც 4 800 სასკოლო მზაობის ასაკის ბავშვი რჩება ისევ ბაგა-ბაღებში. „ეს იმას ნიშნავს, რომ 4 800 ბავშვი რომ წასულიყო სკოლაში, ჩვენ დღეს გასულ წელთან შედარებით 10 000-ზე მეტ ბავშვს მივიღებდით საბავშვო ბაღებში", — დასძინა თამარ ტალიაშვილმა.**

**მისივე თქმით, თბილისის საბავშვო ბაღებში პირველ ეტაპზე რეგისტრაცია უკვე გაიარა ოთხი სპეციალური კატეგორიის ბავშვებმა, კერძოდ, ესენი არიან სოციალურად დაუცველი ბავშვები, დედმამიშვილები (ბავშვები რომლებსაც და ან ძმა უკვე ჰყავთ იმავე სააღმზრდელო დაწესებულებაში), სპეციალური საჭიროების მქონე პატარები და სტიქიით დაზარალებული ბავშვები.**

**ინტერპრესი**

განსჯა

# ბეღლის ვირთხები სუქდებიან, მეწარმეები კი კოტრდებიან

**ბარაქიანი ალოობის დღეები უდგათ წლეულს ქართველ მეხორბლეებს. ისეთი მოსავალია, ავ თვალს არ ენახვებაო, აცხადებენ ისინი, თუმცა, როგორც ყოველთვის, ხორბლის ფასი ახლაც ეცოტავებათ, წისქვილკომბინატები იმდენსაც არ იძლევიან, რომ გაწეული ხარჯები მაინც ავინაზღაუროთო. თავის მხრივ, უკმაყოფილების რაღაც მიზეზებს ეძებენ კომბინატებიც. და ჩვენებური ტრადიციისამებრ ჩნდება იმის წინაპირობა, რომ ადგილობრივი წარმოების ხორბალი გაუფასურდეს, ფქვილი კი გაძვირდეს. რატომ ხდება ეს ყველაფერი გაუკუღმართებულად საქართველოში, ამის თაობაზე აზრის გამოთქმა ვთხოვეთ პურის მრეწველობის დარგში დაგროვილი მდიდარი გამოცდილების მქონე მეწარმეს მალხაზ იაშვილს.**

**— ბატონო მალხაზ, საქართველო ცნობილია ენდემური ხორბლის ჯიშებით. იყო დრო, როცა ქვეყანა თავის სამყოფ ხორბალს ამზადებდა. სამწუხაროდ, ათეული წლებია, საქართველოში ხორბალი დეფიციტურია, რადგანაც ის ქვეყნის სამყოფი 800 ათასი ტონის ოდენობის 10 პროცენტსაც ველარ იწევს. როგორ ფიქრობთ, რამ განაპირობა დარგში ჩვენი ასეთი წარუმატებლობა?**

— ვიდრე ამას ავხსნიდე, მინდა, მკითხველს შევახსენო, რომ დღეს მსოფლიოში ხორბლის ყველაზე მსხვილი იმპორტიორი აშშ, კანადა, ინდოეთი, არგენტინა, ავსტრალია და რუსეთი არიან. ბოლო პერიოდში აზიის რეგიონის ქვეყნებმა ჩინეთმა, მონღოლეთმა, იაპონიამ და კორეამაც დაიწყეს პურის მოხმარება და მოყვანა. ამათგან საქართველოსთვის ყველაზე კარგი მაგალითია იტალია, სადაც შედის ხორბლით დატვირთული გემები მთელი მსოფლიოდან, იქ მუშავდება და ფქვილი ევროპის ქვეყნებს მიეწოდება.

**— გინდათ თქვათ, რომ ამის გაკეთება საქართველოსაც შეუძლია?**

— რატომაც არა. თავის დროზე, კომუნისტურ საქართველოში აშენდა შესანიშნავი ელევატორები (ხორბლის საცავები) და წიქვილკომბინატები სოხუმში, ფოთში, ბათუმში, გორში, მარნეულში, კაჭრეთში, რათა მთელ ამიერკავკასიას მომსახურებოდა ხორბლითა და ფქვილით. თუმცა, მომდევნო პერიოდში საბაზრო ეკონომიკის „მამებმა“ ზედმეტ თავის ტკივილს თავი აარიდეს და აქცენტი შემოტანილ ხორბალზე აიღეს, რასაც თავის წყალქვეშა დინებები აქვს (ვერავინ გეტყვით, ხორბალში რამდენი გადაიხადეს და აქ რა ფასად ყიდიან!).

**— „თავის ტკივილში“ რას გულისხმობთ?**

— იმას, რომ სტაბილური ხარისხის ხორბლის მიღება ძვირი სიამოვნებაა და გაურჯელად არავის არაფერი გამოუვა. აკი ამიტომაც იჩინა თავი ხორბალში ხან კუს ბაღლინჯომ, ხან „სუსტმა“ ფქვილმა და მასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა. მდგომარეობის გამოსასწორებლად 2007 წელს გადაკეტეს ქვეყანაში ფქვილის შემოტანა, რაც ადგილობრივი წისქვილების დასაქმების მოტივით ახსნეს, მაგრამ შედეგები სავალალო აღმოჩნდა. ადგილობრივი ფქვილის ფასი რეკორდულ ნიშნულამდე ავიდა (1 ტომარა 50-კილოგრამიანი ფქვილის ღირებულებამ 60 ლარს გადააჭარბა). ეს იმ დროს, როცა მეზობელ ქვეყნებში ის გაცილებით იაფად იყიდებოდა. სამწუხაროდ, ვერ ან არ გაითვალისწინეს მარტივი ჭეშმარიტება, რომ, თუ საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს ულალატებ და მონოპოლიურ ბიზნესს დაემონები, ფასები სულ ზევით და ზევით აიწევს. მით უმეტეს ჩვენში, როცა პროდუქტის გადამუშავების, სატრანსპორტო ხარჯები, წყალი, დენი, ბუნებრივი აირი საწარმოთათვის ძვირია და შედეგებზე უარყოფითად აისახება. წისქვილების უმეტესობა კი გაიყიდა და ისინი აზერბაიჯანულმა „კარმენმა“ შეიძინა. სამწუხაროდ, ამის გაანალიზება არ მომხდარა და კვლავ ძველ წრეს უბრუნდებიან.

**— როგორც თქვენი საუბრიდან გავიგე, ბატონო მალხაზ, ყველა ამ გაუგებრობისა თუ დანაშაულებრივი ქმედების მიზეზი, რაც დღესდღეობით ხორბალ-ფქვილის ბიზნესში ხდება, ქვეყნად გამეფებულ მონოპოლიზმში უნდა ვეძებოთ. ჩვენ ყველას გვახსოვს, თავის დროზე, ალბათ, არცხონებულმა ბენდუქიძემ თავი გაიგიჟა, ვიდრე მაკონტროლებელი ყველა სამსახური, მათ შორის ანტიმონოპოლიურიც არ გააუქმა იმის მომიზეზებით, რომ ეგენი კორუფციის უშრეტ წყაროს ქმნიანო (ეტყობა, საკუთრივ სურდა დაწაფებოდა ამ წყაროს). ამ ხელისუფლებამ ამ მხრივ ერთგვარი ნაბიჯები გადადგა, ანტიმონოპოლიური კანონიც მიიღო და ამის შესაბამისად კონკურენციის სააგენტოც შექმნა. ნუთუ ეს სააგენტო არაფრის გამკეთებელია?**

— რამეს რომ აკეთებდეს, ქვეყანას ხომ დაეტყობოდა? ამ ორიოდე დღის წინათაც ვიხილეთ მეხორბლეთა ასოციაციის პრეზიდენტისა და ერთ-ერთი დიდი წისქვილის მფლობელის სატელევიზიო გამოსვლა, საიდანაც გამოჩნდა, რომ მას კვლავაც სურს დარჩეს მონოპოლისტად. ჩემთვის გაუგებარია, რატომ არ კეთდება დასკვნები წარსულის გამოცდილებიდან, რატომ იზღუდება ფქვილის შემოტანა, ან რატომ ქმნიან საბაჟოზე ხელოვნურ ბარიერებს? კი ბატონო, ერთი და ორი წისქვილკომბინატი კი იმუშავებს, მაგრამ რა ქნან პურის საცხობებმა, რომელთაც ბაზარზე ფქვილის არჩევანის საშუალება მოუსპეს, პური გააძვირონ? ეს ხომ თავისთავად სხვა პროდუქტებზეც ასწევს ფასებს?

**— როგორც ვიცი, „ოცნების“ მთავრობამ მეხორბლეთა სასარგებლოდ კანონი შეცვალა და ახლა, მათ დღგ-ის საკმაოდ მაღალ თანხებს არა საბაჟოზე, არამედ პროდუქტის რეალიზაციის შემდეგ სთხოვენ ცივილურად.**

— მართალს ამბობთ, ამით, რა თქმა უნდა, კარგი საქმე გაკეთდა. მაშინ მეწისქვილეები და მეხორბლეები ამბობდნენ, ქვეყანა დაისვენებსო, მაგრამ ასე არ მოხდა. თავიდან მართლაც დაიწყო მუშაობა საბაზრო ეკონომიკამ, საქართველოში დაიწყო შემოსვლა ხორბლისა და ჭვავის ფქვილმა, შესაბამისად, ფასებიც დაბლა წამოვიდა, მაგრამ, როგორც ჩანს, მავანს ეს არ ეპიტნავა და პროცესი დაამუხრუჭა. ჯერ აზერბაიჯანულ „კარმენს“ დაუწყეს ჩხიკინი — მონოპოლისტები არიანო, უჩივლეს ეკონომიკის სამინისტროში. ქართულ წისქვილებთან შედარებით, მათი პროდუქცია უფრო იაფი იყო და ეს არ მოეწონათ, გაძვირებაზე კი, როგორც ეტყობა, ვერ დაიყაბულეს. მერე მსხვილმა წისქვილებმა („ალაფი“, „პროგრესი“, „თბილისი“) თითქოსდა ქართული წისქვილების გადარჩენის მიზეზით წამოიწყეს მსხვილი თამაში და ამით მთავრობაში ვიღაცები „წააბეს“. საბაჟოზე დაიწყო რეპრესია-შეფერხებები ხორბლისა და ფქვილის შემოტანაზე. ამასობაში დოლარის კურსმა რყევა დაიწყო და ეს გახდა საკმაო საბაბი იმისთვის, რომ ფქვილი გაეძვირებინათ. როდის დასრულდება ეს გაუთავებელი „კატათაგვობანა“, ვერ გეტყვით. ერთი რამ ნათელია, თუ არ შეიქმნა კონკურენტული ბაზარი, საქართველოში დამზადებული ფქვილი ყოველთვის იქნება ძვირი. ამას განაპირობებს ისიც, რომ ჩვენში გადამუშავების ხარჯები, წყლის, ელენერგიის, ბუნებრივი აირის, სატრანსპორტო გადასახადები მაღალია და რაც უნდა საკვირველი იყოს, ამაზე წისქვილკომბინატები ხმას არ იღებენ, რადგანაც, რაც ჩადებული ჰქონდათ გადამმუშავებელ ხარჯებად ამ 50 წლის წინათ, კვლავაც თავშეუწუხებლად სხვის ხარჯზე აგვარებენ პრობლემებს.

**— ბატონო მალხაზ, წელს ხორბლის კარგი მოსავალია, თუმცა, როგორც პრესა იუწყება, წისქვილკომბინატები ხორბალს იაფად იბარებენ, ფქვილს კი ძვირად ყიდიან. როგორ ფიქრობთ, ვინ დგას ამ ყველაფრის უკან?**




— დღეს უამრავი ხორბლდის მწარმოებელი და მცირე წისქვილების წარმომადგენელნი შეშფოთებით უყურებენ შექმნილ ვითარებას, რადგან, თუ ასე გაგრძელდა პროცესი, პურის გაძვირება გარდაუვალი გახდება. მცირე წისქვილები დაბოლმილები არიან მსხვილებზე, რომლებმაც კვოტები და ბაზარი გადაინაწილეს. გაუგებარია, პირდაპირ საკვირველია, თუ სადმე ძაღლის თავი არ მარხია, მთავრობაში როგორ ენდობიან ამ გამძვირებლებსა და ქვეყნის ბეღლების ვირთხებს? ნუთუ მთავრობას ურჩევნია, ერთმა-ორმა წისქვილმა ფული იშოვოს, ქვეყანა გაატყაოს, უამრავი მეწარმე კი გაკოტრდეს? ამაზე პასუხს მეწარმეები სწორედ ხელისუფლებისგან მოველით.

ესაუბრა
**ოთარ ხუციშვილი**

ალიან-ჩალიანი

## მილიონი ევრო საქართველოს სამოქალაქო ავიაციის განვითარებისთვის

**ევროკავშირი საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სისტემის ინსტიტუციური განვითარებისთვის 1 მილიონ ევროზე მეტს გამოყოფს, — ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ევროკავშირის წარმომადგენლობიდან აცნობეს.**

**ევროკავშირის „საჯარო სამსახურების დაძმობილების“ (TWINNING) პროგრამის ფარგლებში, სამოქალაქო ავიაციის სააგენტოში ევროპული რეგულაციების დანერგვის ხელშემწყობი პროექტი დაიწყო, რომელიც ავსტრიისა და ხორვატიის სამოქალაქო ავიაციის სააგენტოებთან თანამშრომლობითა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული საერთო საავიაციო სივრცის შესახებ შეთანხმების საფუძველზე ხორციელდება. ევროკავშირის წარმომადგენლობის ინფორმაციით, პროექტის ოფიციალური გახსნა გაიმართება დღეს, 11:00 საათზე სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“. „ევროკავშირი საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სისტემის ინსტიტუციური განვითარებისთვის 1 მილიონ ევროზე მეტს გამოყოფს“, — ნათქვამია განცხადებაში.**

## ჩვენი ღვინო კორეელებსაც მოეწონათ

**სამხრეთ კორეის მხრიდან ქართული ღვინის ექსპორტთან დაკავშირებით ინტერესი იზრდება, — ამის შესახებ სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ განაცხადა.**

**მისივე განმარტებით, საქართველოს მთავრობა მზადაა, ამ პროცესს ხელი შეუწყოს. „სამხრეთ კორეაში ღვინის ექსპორტი საქართველოდან ახლაც ხორციელდება. რაოდენობა არ არის ძალიან დიდი — საუბარია დაახლოებით 50 ათას ბოთლზე, თუმცა, ინტერესი იზრდება. ჩვენ ამ მიმართულებით ვმუშაობთ და ხელს შევუწყობთ ამ ურთიერთობის გაღრმავებას“, — განაცხადა დანელიამ.**

## საბაჟო ჯარიმები იზრდება

**საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებული საგადასახადო სანქციები იზრდება. „საგადასახდო კოდექსში“ ამ მიმართულებით დაგეგმილი ცვლილებები ნაღდი ფულისა და ფასიანი ქაღალდების საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით, ან მისგან მალულად, ან არასწორად დეკლარირებით გადატანა-გადმოტანასთან დაკავშირებულ შემთხვევებს ეხება. ფინანსთა სამინისტროს ავტორობითა და მთავრობის ინიციატივით პარლამენტში წარდგენილი პროექტის განხილვა დაჩქარებული წესით არის დაგეგმილი.**

**კერძოდ, პარლამენტში ინიცირებული პროექტის მიხედვით, საქართველოს საბაჟო საზღვარზე 30 000 ლარზე (ან სხვა ვალუტაში მის ეკვივალენტზე) მეტი, მაგრამ არაუმეტეს 50 000 ლარის ოდენობის ნაღდი ფულისა და ფასიანი ქაღალდების გადატანა გადმოტანა საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით, ან მისგან მალულად, ან არასწორი დეკლარირებით — გამოიწვევს პირის დაჯარიმებას 3 000 ლარის ოდენობით ან საქონლის ჩამორთმევას. ახლა ჯარიმა 1000 ლარით ან საქონლის ჩამორთმევით განისაზღვრება.**

**საბაჟო საზღვარზე 50 000 ლარზე (ან სხვა ვალუტაში მის ეკვივალენტზე) მეტი, მაგრამ არაუმეტეს 100 000 ლარის ოდენობის ნაღდი ფულისა და ფასიანი ქაღალდების გადატანა ან გადმოტანა საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით, მისგან მალულად, ან არასწორი დეკლარირებით — იწვევს ვალდებული პირის დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით ან საქონლის ჩამორთმევას. ჯერ კიდევ მოქმედი კოდექსით კი, ასეთ შემთხვევაზე კანონის დამრღვევი სუბიექტი 3 000 ლარის ოდენობით, ან ამ საქონლის ჩამორთმევით ჯარიმდებიან.**

**ასევე პარლამენტში ინიციირებული პროექტის მიხედვით, როცა საქმე 100 000 ლარზე მეტი ოდენობის თანხას შეეხება, პირი დაჯარიმდება თანხის ან ფასიანი ქაღალდის ღირებულების 10 პროცენტით ან ამ საქონლის ჩამორთმევით.**

ინტერპრესი

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ნინო ბურჯანაძე რუსეთთან კავშირ-ურთიერთობას აწესრიგებს

## საქართველოს პარლამენტის ექს-სპიკერი მოსკოვში განიხილავს „უშიშროების გამოწვევებს“

**მოსკოვში დაიწყო საქართველოს პარლამენტის ყოფილი სპიკერის, ოპოზიციური პარტიის „დემოკრატიული მოძრაობა „ერთიანი საქართველოს“ ლიდერის ნინო ბურჯანაძის ვიზიტი, რომელსაც ოპონენტები „ქვეყანაში ერთადერთ პრორუს პოლიტიკოსს უწოდებენ“. თბილისელი ექსპერტების აზრით, ქალბატონ ბურჯანაძეს განზრახული აქვს განაახლოს დიალოგი რუსეთის ხელმძღვანელობასთან, რისი ინიცირებაც მან დაიწყო უმალვე 2008 წლის „ხუთდღიანი ომის“ შემდეგ. და ამით დაიწყო მზადება გაისისთვის გათვალისწინებული პარლამენტის არჩევნებისთვის საქართველოში, რომელზეც რუსეთთან ურთიერთობა ერთ-ერთი საკვანძო გახდება.**



პარტია „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე მიიწვია მოსკოვში სახელმწიფო დუმის სპიკერმა სერგეი ნარიშკინმა. ვიზიტის ოფიციალური მიზანია — მონაწილეობა მიიღოს მრგვალ მაგიდაში „მსოფლიო და რეგიონალური უშიშროების გამოწვევები 21-ე საუკუნეში“, რომელიც მოაწყვეს რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმამ და საგარეო საქმეთა სამინისტრომ. სხვათა შორის, როგორც ჩვენ პოლიტიკოსის თანაშემწემ ბაკურ ბაკურაძემ გვაცნობა, „ასევე გათვალისწინებულია შეხვედრები მაღალი რანგის ლიდერებთან ფედერაციის საბჭოს „დემოკრატიულ მოძრაობაში“ და საგარეო საქმეთა სამინისტროში.

სახელმწიფო დუმაში ჩვენს გაზეთს განუმარტეს, რომ მრგვალ მაგიდასთან იქნება ძალიან ბევრი ცნობილი წარმომადგენელი სხვადასხვა ქვეყნიდან, თუმცა, ყველა მსურველის ფიზიკურად მიწვევა შეუძლებელია. **„საერთაშორისო მრგვალ მაგიდაზე „21-ე საუკუნის აქტუალური საერთაშორისო-სამართლებრივი პრობლემები“ ჩვენ მოვიწვიეთ ცნობილი საზოგადო მოღვაწეები — ესენი არიან იურისტები, მოსამართლეები, პროკურორები და პოლიტიკოსები. მათ შორის პარტია „დემოკრატიული მოძრაობა „ერთიანი საქართველოს“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე“,** — განუცხადა ჩვენს გაზეთს სახელმწიფო დუმის სპიკერის პრეს-მდივანმა ევგენი ჩუგუნოვამ.

თბილისში არ გამორიცხავენ, რომ პარლამენტის ყოფილ სპიკერს სურს გამოიყენოს პრორუსული განწყობილების გაძლიერება საქართველოში. **„ბურჯანაძეს იმედი აქვს, რომ გამომსვლელთა 30 პროცენტზე მეტი, უკანასკნელი გამოკითხვით, მხარს უჭერს საქართველოს წევრობას ევრაზიულ კავშირში — ეს მისი ელექტორატია“,** — განუმარტა ჩვენ გაზეთს პოლიტოლოგმა დავით ავალიშვილმა.

2008 წელს სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებული სამხედრო კონფლიქტის შემდეგ პარლამენტის ექს-სპიკერი მწვავე კრიტიკით თავს დაესხა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, ბრალი დასდო მას „ომის პროვოცირებაში, შემდეგ კი სამარცხვინო წაგებაში“. იგი მაშინვე გამოვიდა რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის მოწესრიგებისათვის. 2010 წლის მარტში ქალბატონი ბურჯანაძე შეხვდა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინს, რომელსაც მაშინ პრემიერის პოსტი ეკავა. მას შემდეგ ნინო ბურჯანაძე ხშირად გამოდის მოსკოვთან „საგნობრივი დიალოგისათვის“, აკრიტიკებს საქართველოს ხელისუფლებას (როგორც ყოფილ, ისე ამჟამინდელს), ზედმეტად პროდასავლური კურსისა და უუნარობის გამო — მოაწესრიგოს ურთიერთობანი „მეზობელ ქვეყანასთან“.

Коммерсантъ

◉ სიმართლე კი ასეთია

# ისტორიის გამრუდებული სარკე,

## ანუ როგორ ალამაზებენ თურქები საკუთარ ისტორიას

**თავშივე უნდა გავაფრთხილო პატივცემული მკითხველი, რომ ხაზგასმით არ მიყვარს სერიალები, რომლებიც მხოლოდ კომერციულ დატვირთვას ატარებენ და. აქედან გამომდინარე, მათში უგულებელყოფილია რეალური სოციალური წიაღსვლები, მორალი, ზნეობა, ადამიანის სულიერი სიფაქიზე და მისი ფორმირების პროცესთა ზოგადსაკაცობრიო ნიუანსები, სამაგიეროდ, ნებისმიერ ამ სერიალს რეფრენად გასდევს ლამის დაუჯერებელი, უნიჭო ზღაპრად წარმოჩენილი მოულოდნელობები, ყოველგვარ აზრობრიობას მოკლებული ეპატაჟური სცენები და ინცესტამდე მისული სექსუალური პასაჟები...**

ერთი სიტყვით, აღნიშნული სერიალები თვალშისაცემად მდარე ლიტერატურული თუ მხატვრული პროდუქციაა და იგი განკუთვნილია მცირემცოდნე (ბოდიშს მოვიხდი ამ კატეგორიის ადამიანების წინაშე, მაგრამ ჩემი მიზანია აღნიშნული კინოპროდუქციის უფერულობის წარმოჩენა და არა ვინმეს შეურაცხყოფა), მხოლოდ სენსაციებსა და იაფფასიან შოუებს დახარბებული აუდიტორიისათვის. მაგრამ, ჩვენდა გასაოცრად, ამ სერიალებშიც გამოერევა ხოლმე ნამუშევარი, რომელმაც შეიძლება დააინტერესოს ისტორიის მოყვარული საზოგადოება. კეროდ, ამ წერილში საუბარი მექნება თურქულ მრავალსერიიან (300 სერიაზე მეტი) მხატვრულ-დოკუმენტურ ფილმზე **„დიდებული საუკუნე“,** რომელმაც მხოლოდ იმიტომ დამაინტერესა, რომ მასში შუა საუკუნეების თურქეთის სულთნის, მემატიანეთა მიერ **„სჯულმდებლად“** და **„ბრწყინვალედ“** სახელდებული სულეიმან მეორის (1520-1566 წწ.) ცხოვრებისა და მისი გარდაცვალების შემდგომი პერიოდის თურქეთის საზოგადოებრივი, პოლიტიკური და სამხედრო ცხოვრებაა ასახული.



სულთან სულეიმანი II

სულთან სულეიმან მეორის მმართველობის პერიოდი მართლაც **„დიდებულ“** ჟამად შეიძლება იქნეს მიჩნეული ოტომანთა იმპერიისათვის, რადგან მათ არ იკმარეს ქრისტიანობის **„მეორე რომად“** მიჩნეული კონსტანტინოპოლის აღება, ევროპას შეუტიეს და ერთმანეთის მიყოლებით აიღეს ალბანეთი, საბერძნეთი, სერბეთი, ბოსნია, ბულგარეთი, რუმინეთი, ავსტრია...

ოტომანთა ფლოტმა რამდენჯერმე დამაჯერებლად გაიმარჯვა ქრისტიანულ სახელმწიფოთა კოალიციის გაერთიანებულ ფლოტზე და ხმელთაშუა ზღვა ლამის საკუთარ ტბად გაიხადა...

საქმე ისე წარიმართა, რომ დროის ამბავი გახლდათ ოტომანთა მიერ რომის, საფრანგეთის, გერმანიის და სხვა ევროპულ სახელმწიფოთა დაპყრობა. მაგრამ, ქრისტიანული სამყაროს სასიკეთოდ საქმე სხვაგვარად წარიმართა და სულთან სულეიმანის გარდაცვალების შემდეგ ოტომანთა იმპერიამ მალევე დაკარგა დაპყრობილი ტერიტორიები და მსოფლიოს უძლიერესი სამხედრო-პოლიტიკური ცენტრის პოზიციები.

სულთანი სულეიმან მეორე, ფილმში გამოყვანილია ნიჭიერ სახელმწიფო და სამხედრო-პოლიტიკურ მოღვაწედ და შვილების მკაცრად აღმზრდელ, სამართლიან, გულმოწყალე მამად, რომლისთვისაც უპირველეს ამოცანას ოტომანთა იმპერიის ძლიერება წარმოადგენდა. ყველაფერში ვეთანხმებით ფილმის შემქმნელებს, გარდა სულეიმანის გულმოწყალეობისა და სამართლიანობისა, რადგან ამ საკითხზე მსოფლიოს ცნობილ ისტორიკოსებს სრულიად განსხვავებული მოსაზრება აქვთ!

მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ გერმანიის იმპერატორ ფერდინანდის ელჩის ოჟიე გიზელენ ბუსბეკის, ასევე ოსმალეთის წარსულზე მომუშავე შუასაუკუნეების გერმანელი ისტორიკოსების ჰამერ-პურკსტალის და ცინკეიზენის ჩანაწერები, რომლებიც არა მხოლოდ დაწვრილებით აღწერენ სულთან სულეიმან მეორის საიმპერატორო კარის ბრწყინვალებას, არამედ მის საშინელ ოჯახურ ტრაგედიასაც, რამაც სისხლში ამოთხვარა სულეიმანის საიმპერატორო მოსასხამი. 1553 წელს მან სიკვდილით დასაჯა უდავოდ ნიჭიერი უმრწმესი შვილი მუსტაფა და მისი მცირეწლოვანი შვილი (4 წლის ასაკისა), რაც, ფილმში, სულეიმანის ცოლს, წარმოშობით ბესარაბიელი მღვდლის შვილს როქსელანას (ჰიურემი) და დიდვეზირად აღზევებულ მეჯინიბეთუხუცეს რუსტემ ფაშას ბრალდებათ. სინამდვილეში კი სულთან სულეიმანს მუდამ ეშინოდა ტახტის დაკარგვისა, რისი შენარჩუნებისთვისაც არად მიაჩნდა საკუთარი შვილებისა და შვილიშვილების სიცოცხლეც კი.

არ გახლავთ ეს ისტორიის შელამაზების თვალშისაცემი ფაქტი?

სახელგანთქმული ისტორიკოსი ჰელმოლტი თავის **„კაცობრიობის ისტორიაში“** აქვეყნებს ბუსბეკის ჩანაწერებს, სადაც მოთხრობილია, რომ სულეიმანის შვილმა, დაბადებით კუზიანმა, მაგრამ ჭკვიანმა ჯიჰანგირმა მუსტაფას კუბოსთან მოიკლა თავი ულმობელი მამის თვალწინ. ფილმში კი ჯიჰანგირი დარდისაგან კვდება, რითაც რეჟისორებს სულეიმანის სისასტიკე უკანა პლანზე გადააქვთ.

იხ. 19 გვ.

## დედამიწის ზურგზე




**ეუთომ მიიღო რეზოლუცია, რომელიც გმობს რუსეთის ფედერაციას და აფრთხილებს მას ვითარების გაუარესების გამო ყირიმში**

**რუსეთი დაგმეს დონბასში შეიარაღებულ დაჯგუფებათა მხარდაჭერისათვის, იქ შეიარაღებისა და დაქირავებულთა გადაადგილების გამო და მოუწოდეს შეწყვიტოს დახმარება სეპარატისტებისათვის. ეუთოში ასევე გამოთქვეს შეშფოთება ყირიმში მილიტარიზაციის გაძლიერების გამო. ამას გარდა, ორგანიზაციაში დაგმეს ყირიმელი თათრებისა და ეთნიკური უკრაინელების შევიწროებაში ნახევარკუნძულზე.**

**რომის პაპმა თვითმფრინავში ბოლივიის თავზე, რათა თავი დაეღწია სიმაღლის შიშისგან კოკას ჩაის ნაყენი დააგემოვნა**



**აეროპორტი „ელ ალტო“, სადაც ჩაფრინდა პონტიფიკოსი, მსოფლიოში ყველაზე მაღლა მდებარეობს (4061 მეტრი ზღვის დონიდან). ამ მიზეზით, როდესაც დაფრენილი თვითმფრინავის კარს აღებენ, მგზავრებს შეუძლიათ შეიგრძნონ წნევის მკვეთრი დაცემა. ნახარშის წყალობით პონტიფიკოსი თავს გრძნობდა კარგად ჩამოსვლის შემდეგ და მისასალმებელი სიტყვის წარმოთქმის დროს.**

**ვილნიუსის მერმა უარი განაცხადა რუსეთის ელჩის მიწვევით „ოკუპირებულ“ ყირიმში გამგზავრებაზე**



**რემიგიუს შიმაშუსმა ისაუბრა იმის შესახებ, რომ ლიტვაში რუსეთის ფედერაციის ელჩმა „თითქოსდა სხვათა შორის“ მიიწვია იგი ყირიმში, „ნახოს, რომ ყველაფერი კარგადაა იქ“. „ის სულაც არაა მართალი, როდესაც მიმიწვია ოკუპირებულ ტერიტორიაზე. მე სიამოვნებით ჩავალ ყირიმში, მაგრამ, როდესაც მივიღებ მიწვევას არა მისგან, არამედ უკრაინის ელჩისგან“, — ხაზგასმით აღნიშნა ქალაქის უფროსმა.**

**მალაიზიაში „ბოინგის“ ავარიის გამო გაავრცელეს გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის პროექტი ტრიბუნალის შექმნის შესახებ**

**დოკუმენტის პროექტში საუბარია იმის შესახებ, რომ გაეროს უშიშროების საბჭომ უნდა „ჩამოაყალიბოს საერთაშორისო ტრიბუნალი ერთადერთი მიზნით — მიაღწიოს იმათ სასამართლო დევნას, ვინც პასუხისმგებელია დანაშაულისთვის, რაც დაკავშირებულია თვითმფრინავის ჩამოგდებასთან, რომელიც ასრულებდა MN 17 რეისს 2014 წლის 17 ივლისს.**



მამამისი, ქაიხოსრო ორბელიანი ეფემია ორბელიანის, ანუ ნიკოლოზ ბარათაშვილის დედის მკვიდრი ბიძაშვილი იყო. ნიკოლოზს და მაიკოს გარდა ნათესაობისა, დიდი მეგობრობაც აკავშირებდათ. მათი მიმოწერებიც არსებობს. ერთგან ნიკოლოზ (ტატო) ბარათაშვილი წერს: **„საყვარელო დაო, მაიკო, ვიცი, რომ გიყვარვარ, მაგრამ არც შენ უყვარხარ ჩემსავით ვისმე (ერთის მეტს)“.**

ის ერთი კი, ვისაც მაიკო ორბელიანი დიდი სიყვარულით უყვარდა, იყო ტატო ბარათაშვილის მეგობარი და კლასელი ლევან მელიქიშვილი. ლევანი იყო მაიკოს ოფიციალური საქმრო. ეს იცოდა მთელმა თბილისის საზოგადოებამ. წყაროების მიხედვით მათ დაქორწინება გაუჭიანურდათ, რადგან ორივენი გაღარიბებული ოჯახიდან იყვნენ. ლევანს მაიკო დანიშნული ჰყავდა და ჰქონდათ დიდი სიყვარული.

ამ შეურაცხყოფამ მაიკო ორბელიანს ცხოვრების ხალისი დაუკარგა. ის დაავადდა. მისი სატრფო ლევან მელიქიშვილი დაწინაურდა სამხედრო სამსახურში და გადაიყვანეს ნახჭევანის ოლქის მმართველად, სადაც კანცელარიაში სამუშაოდ წაიყვანა ნიკოლოზ ბარათაშვილი. ეს ცალკე ისტორიაა. ლევანი, ამის შემდეგ, კიდევ დაწინაურდა. როცა მან მაიკოს ავადმყოფობა შეიტყო, დაქორწინება შესთავაზა. მაიკომ ცოლობაზე უარი უთხრა გულის სწორს. როგორც შერცხვენილმა, ჯვრისწერისა და ქართული გვირგვინის ღირსად აღარ ჩათვალა თავი, მაგრამ ლევანისგან მაინც გააჩინა შვილი. მაიკოს მდგომარეობა სულ უფრო გართულდა. 1849 წელს იგი ჭლექით გარდაიცვალა გულმოკლული. სიკვდილის წინ მასზე ზრუნავდა და თავს დასტრიალებდა ლევან მელიქიშვილი. ის სამსახურიდან საგანგებოდ ჩამოვიდა. როდესაც ლევანს შვებულება გაუთავდა, ტელეგრამა გაგზავნა: მაიკო ცუდად არის და ამ მომენტში ვერანაირად ვერ მივატოვებო.

მოგვიანებით, ლევან მელიქიშვილი ისევ ორბელიანის ქალზე, ალექსანდრაზე დაქორწინდა. ალექსანდრამ თავისი ინიციატივით მაიკოს დაობლებული შვილი იშვილა. ამის შემდეგ, მას ლევანთან კიდევ სამი ვაჟი შეეძინა. 1881 წელს გენერალ-ლეიტენანტი ლევან მელიქიშვილი რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრად აირჩიეს. იგი 1892 წლის 25 თებერვალს გარდაიცვალა და დასაფლავებულია მამა დავითის ეკლესიაში.

**რაც შეეხება რუსეთის იმპერატორის „შალუნს,“ მისი ცხოვრება ასე წარიმართა: „ივანე მუხრანბატონი იმავე ხანებში, როდესაც მაიკო გაუბედურდა, არჩეულ იქნა თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღვრად, ანუ მარშლად. მაშინ სამი წლის ვადით ირჩეოდნენ ასეთ თანამდებობაზე. ივანე მუხრანბატონი კი, ცხრაჯერ იქნა არჩეული ზედიზედ, ანუ 27 წლის განმავლობაში უცვლელად წინამძღოლობდა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობას“.**

როგორც მისი განვლილი გზითაც ჩანს, მსხვილი ქართველი მემამულე, რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი ივანე მუხრანბატონი ერთობ მოხერხებული კაცი ყოფილა, რომლისთვისაც მიზნის მისაღწევად ნებისმიერი გზა იყო მისაღები. როდესაც მან მუხრანში სახლის მშენებლობა დაიწყო, მას ამ სოფელში სულ ორი გლეხი ჰყოლია: ერთი კარაპეტოვი და მეორე მამულაშვილი. დანარჩენები დიღომში ცხოვრობდნენ. მოგვიანებით, კი თითქმის მთელი მუხრანი დაიკავა.

მუხრანბატონი ფლობდა 25 ათას დესეტინა მიწას. მას ერთ-ერთი პირველი ადგილი ეკავა რაციონალიზატორ მემამულეთა შორის; დიდ წარმატებას მიაღწია მეურნეობის კაპიტალისტურად გარდაქმნის საქმეში. 1876 მუხრანბატონმა საფრანგეთიდან გამოიწვია მეღვინეობის სპეციალისტები. დაიხმარა ცნობილი ქართველი მეღვინე ზ. ჯორჯაძე და მუხრანში ააგო დაახლოებით 1 მლნ. 200 ათ. ლიტრი ტევადობის ქარხანა, სადაც ღვინოს ევროპის წესით აყენებდა. 1882 მუხრანბატონის ღვინომ მოსკოვის გამოფენაზე უმაღლესი ჯილდო - სახელმწიფო გერბი, ხოლო 1889 წელს პარიზში გამართულ Exposition Universelle Internationale ოქროს მედალი დაიმსახურა. თავად მუხრანბატონს კი საფრანგეთის მმართველობამ უმაღლესი ჯილდო “Officier du merite agricole“ უბოძა. დღეს ივანე მუხრანბატონის კულტურულ–ისტორიული მემკვიდრეობის აღდგენის ფართო პროექტს ახორციელებს სამეღვინეო კომპანია შატო მუხრანი.

რაც შეეხება, თბილისიდან პეტერბურგში დაბრუნებულ რუსეთის იმპერატორს ნიკოლოზ პირველს, რომლის სახელიც ისტორიაში ცნობილია, კიდევ, როგორც „სისხლიანი“, ანუ „ნიკოლოზ კროვავი“, მას უთქვამს: საქართველოში ისეთი მიღება მომიწყვეს, როგორსაც მხოლოდ მოსკოვში მიწყობენ ხოლმეო.

ეს მაშინ, როდესაც სულ რამდენიმე წლის წინათ, სწორედ ამ იმპერატორმა 1832 წლის აჯანყებულები დასაჯა, რომელშიც მაშინდელი ნაღები და ღირსეული საზოგადოება იყო გარეული. თავად ნიკოლოზ ბარათაშვილიც კი, რომელიც მაშინ წლოვანებით პატარა იყო, ისე იყო გამოწყობილი ქართულ ტანსაცმელში,



„ვერის ჯვარი“ – ადგილი, სადაც 1837 წელს სიკვდილს გადაურჩა იმპერატორი ნიკოლოზ I

# როცა სასურველს რეალობად იღებენ

## არათუ უშედეგო, სამარცხვინო თავგანწირვაც!

რომ ნიკოლოზ პირველს ძალიან მოსწონებია და უთქვამს: „შენ ჩემი ორდინარეცი ხარ“-ო.

იმპერატორი წავიდა, მაიკო კი შერცხვენილი დარჩა, რომელსაც ეს გატარებული ღამე გატანჯული სიცოცხლის ფასად დაუჯდა. რას ვიზამთ, სხვა ქვეყნებშიც მომხდარა მსგავსი რამ, ასეთ სამარცხვინო ისტორიებს მეტ-ნაკლებად ყველგან წააწყდები. მაგრამ ჩვენი შემთხვევისთვის შესადარებლად უფრო პოლონეთი გამოდგება, ისიც მისი წარსულიდან ის დრო, როცა პოლონელი ხალხი ჩვენსავით დამოუკიდებლობაზე ოცნებობდა. ამას კი ჩვენგან სულ ცოტა 200 წლით დაშორებულ დროში გადავყავართ. ეს არის XIX საუკუნის დასაწყისის ევროპა, რომელსაც მხოლოდ ნაპოლეონის სახელი ეკერა პირზე. მას ზოგი შიშით, ზოგი სიძულვილით, ზოგიც მოწიწებით წარმოთქვამდა. ფაქტი კი ფაქტად რჩება, რომ მან არსებითად შეცვალა მაშინდელი ევროპის რუკა.

მისმა ხმაურიანმა გამარჯვებებმა თავისუფლებადაკარგულ პოლონელებს ქვეყნის გამთლიანების და ფეხზე დაყენების იმედი ჩაუსახათ. ამ დროისათვის პოლონეთი 1772, 1793, 1795 წლებში მეზობელი ქვეყნების მიერ სამჯერ განაწილების შედეგად სულს ღაფავდა. ამიტომაც იყო, რომ, როცა ნაპოლეონი პოლონეთს ეწვია, მას მოწიწებით შეხვდნენ, რადგან მასში მხსნელს ხედავდნენ, რომელსაც შეეძლო, პოლონეთის უძველესი სამეფოსთვის დამოუკიდებლობა დაებრუნებინა. ნაპოლეონის პატივსაცემად გამართულ მეჯლისზე მის მიმართ აღფრთოვანება გამოხატეს ულამაზესმა ქალბატონებმაც. უმშვენიერესი სქესის უბადლო დამფასებელი მხედართმთავარი თავდაჯერებული ღიმილით ისმენდა ქათინაურებს და პოლონეთის არისტოკრატიაში თავის ახალ მსხვერპლს ეძებდა. უეცრად დარბაზის სიღრმეში მან შენიშნა ქერათმიანი, მომხიბვლელი უცნობი ქალი და იკითხა, — ვინ არის? — მარია ვალევსკაია, მოხუცი გრაფის ახალგაზრდა მეუღლე ვალევიცედან, — მიუგეს.



მარია ვალევსკაია და ნაპოლეონი

მარია გაღარიბებული არისტოკრატის ოჯახში დაიბადა და 16 წლის იყო, როდესაც 68 წლის გრაფმა ვალევსკიმ ითხოვა... მეჯლისზე იგი მეუღლესთან ერთად გამოცხადდა და ერთ-ერთ სვეტთან გაჩერდა. პოლონელი არისტოკრატიის ყურადღება ნაპოლეონისკენ იყო მიმართული. მხედართმთავარი კი მარიას თვალს ვერ აშორებდა.

მეორე დილით მარიამ ვარდების მდიდრული თაიგული და პატარა ბარათი მიიღო: **„მე მხოლოდ თქვენ გხედავდით... აღფრთოვანებული ვარ და მხოლოდ თქვენ მინდიხართ. მიპასუხეთ დაუყოვნებლივ და ნაპოლეონის ვნება დააოკეთ!“** თუმცა, იმპერატორის კურიერი გრაფი ვალევსკის სასახლიდან ხელცარიელი დაბრუნდა. ნაპოლეონმა ისევ კალამი აიღო და მეორე ბარათი მისწერა. მაგრამ, ამაოდ. მარია გულგრილი აღმოჩნდა უდიდესი დამპყრობლის მიმართ, რომელიც ემუდარებოდა, „მისი საცოდავი გული მცირეოდენი სიხარულით და ბედნიერებით დაემშვიდებინა“. იმპერატორმა მხოლოდ მას შემდეგ შეძლო ვალევსკაიას წინააღმდეგობა გაეტეხა, როდესაც მას სიყვარულზე მეტს დაჰპირდა — მან მიანიშნა, რომ კეთილგანწყობის სანაცვლოდ პოლონეთს დამოუკიდებლობას მისცემდა.

**„სასოწარკვეთილი ვარ... მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ შეავსოთ ის სიცარიელე, რაც ჩვენს შორისაა. ოოო, მოდი, მოდი! თქვენ მიიღებთ ყველაფერს, რასაც ისურვებთ. თქვენი სამშობლო ყველაზე ძვირფასი იქნება ჩემთვის მას შემდეგ, რაც ჩემს საცოდავ გულს დაიპყრობთ. ნ.“**

ხერხმა გაჭრა. თუმცა, ვალევსკაიამ მსხვერპლი სიყვარულის გამო კი არა, პოლონეთისთვის გაიღო. ამისკენ კი როგორც მას, ისე მის ქმარს რომ მიეცა ცოლისთვის თანხმობა, პოლონელმა დიდგვაროვნებმა უბიძგეს, რომლებიც ქვეყნის გადარჩენის შანსს მხოლოდ ამ კავშირში ხედავდნენ.

მარიამ ნაპოლეონს პასუხი მისწერა და აღელვებულმა იმპერატორმაც მას დაუყოვნებლივ გაუგზავნა ეტლი. მისი მომლოდინე მხედართმთავარი ადგილს ვერ პოულობდა, კაბინეტში ბოლთას სცემდა მანამ, სანამ სასახლესთან მდიდრული ეკიპაჟი არ გაჩერდა. მის წინაშე შეშინებული და ნამტირალევი ვალევსკაია იდგა. თუმცა, იმპერატორს მისი მორჩილება და თავშეკავებულობა ნაზ გრძნობებს ულვიძებდა. იგი საუბრობდა სიყვარულზე, ეფიცებოდა, მაგრამ პირველმა პაემანმა შედეგი ვერ გამოიღო. განთიადზე ნაპოლეონმა მარია გაუშვა და ალერსიანად გამოემშვიდობა. თუმცა, სულ მალე ვალევსკაია მხედართმთავრის საძინებელში აღმოჩნდა.

მეორე დღეს ვნებაჩამცხრალი ნაპოლეონი იტყვის: **„პოლონეთს პოლონელები ფანტაზიით მართავენ..“**

იქნებ ჩვენ შემთხვევაშიც ფანტაზიამ დაგვიბნელა გონება და სასურველი რეალობად წარმოვიდგინეთ. არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, თუ ეს რა დროა ჩვენი ქვეყნის ისტორიისთვის. 1832 წლის შეთქმულთა წარუმატებელმა მცდელობამ დამოუკიდებლობის მოპოვებისთვის ქვეყანაში დეპრესია გაამეფა. მიუხედავად იმისა, რომ ცარიზმი მაინც ლმობიერად მოექცა ამბოხებულებს, რადგან ამით აღმოსავლეთის ქრისტიანი ხალხის მფარველის იმიჯს გაუფრთხილდა, შედეგი მაინც მძიმე გამოდგა. 38 შეთქმული დააპატიმრეს. მრავალი მათგანი რუსეთის შორეულ პროვინციებში გადაასახლეს. სოლომონ დოდაშვილმა ვიატკაში დაასრულა სიცოცხლე. ამიტომ რა გასაკვირია, რომ დაშინებული იყო მაშინდელი თავადაზნაურობა. ისინი უკვე არ იყვნენ ის ადამიანები, რომლებსაც ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინათ სამშობლოსთვის უძგერდათ გული და მზად იყვნენ, მისთვის სიცოცხლეც უყოყმანოდ კი გაეწირათ. დარჩენილები და გადარჩენილებიც უკვე საკუთარ ინტერესებზე ფიქრობდნენ, მათ მხოლოდ ჩინ-მედლებზე ეჭირათ თვალი. ზოგიერთ მათგანს გულწრფელად სჯეროდა, რომ მხოლოდ იმპერიის მიმართ ერთგული სამსახურით შეძლებდნენ დაწინაურებას და ამით თავის დაბეჩავებულ ქვეყანასაც უშველიდნენ. რა იყო ეს — ადამიანების ულირსი საქციელი, როგორც ამას 60-იანელები მიიჩნევდნენ, თუ ამჯერად უკვე სხვა გზის არჩევა, არა ბრძოლის, არამედ ცარიზმისადმი ერთგულების დემონსტრირების, რათა სამშობლოს ინტერესების დაცვის შესაძლებლობა მოეპოვებინათ? მაგრამ, ვაი რომ, მათი მცდელობა და მათ შორის ქართველი ქალის თავგანწირვაც, საკუთარი თავის მსხვერპლად შეწირვის ერისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ, არათუ უშედეგო, სამარცხვინო აღმოჩნდა.

**გიორგი მჭედლიშვილი**

დასასრული. დასაწყისი იხ. № 126

# ს.ს.ი.პ – გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება

## სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

**სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.**

| | | |
|---|---|---|
| **ობიექტი № 1** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ობიექტის დამუშავება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით;<br>ბ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვედა ხიმონეთის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ყვირილას ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 4 800 მ³) |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვედა ხიმონეთის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 835 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 83,5 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 618 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 10 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 10 აგვისტოს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 10 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 10 აგვისტოს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

| | | |
|---|---|---|
| **ობიექტი № 2** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ობიექტის დამუშავება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით;<br>ბ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ფუჭი ქანი და ნიადაგის ფენა უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით.<br>გ) ობიექტის დამუშავების დროს არ უნდა მოხდეს ფუჭი ქანის ჩაყრა მდ. სუფსის კალაპოტში;<br>დ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით);<br>ვ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფ. ბუკისციხის მიმდებარე ტერიტორია, „ბუკისციხის" ტრაქიანდეზიტების და ბაზალტის (ლორდი) გამოვლინება, (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 24 500 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფ. ბუკისციხის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 10 000 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 000 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 5 200 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 10 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 10 აგვისტოს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 10 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 10 აგვისტოს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 3 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

| | | |
|---|---|---|
| **ობიექტი № 3** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 10 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 10 აგვისტოს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 10 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 10 აგვისტოს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი № 16**

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება.<br>ზ) ლიცენზიის მფლობელმა უზრუნველყოს ჭის შემოღობვა.<br>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. კარალეთის ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 3 650 მ$^3$/წელიწადში. |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. კარალეთის ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 61 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 6,1 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 231 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 10 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 10 აგვისტოს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 10 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 10 აგვისტოს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი № 17**

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება.<br>ზ) სალიცენზიო ობიექტი საჭიროებს მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავებას. |

| | | |
|---|---|---|
| | | თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქ. ქუთაისი, 9 აპრილის ქუჩა №1ბ / 9 აპრილის ქუჩა №1ბ-ს ჩრდილო აღმოსავლეთით / რუსთაველის გამზირი, გზაგამყარის ხიდის მიმდებარე ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 15 000 მ³/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქ. ქუთაისი, 9 აპრილის ქუჩა №1ბ / 9 აპრილის ქუჩა №1ბ-ს ჩრდილო აღმოსავლეთით / რუსთაველის გამზირი, გზაგამყარის ხიდის \ მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 485 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 48,5 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 443 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 10 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 10 აგვისტოს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 10 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 10 აგვისტოს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი № 18** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.<br>ბ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება განახორციელოს ისე, რომ წლიური მოპოვების სიღრმე, ობიექტის მთელ ფართობზე არ აღემატებოდეს 1,5 მეტრს.<br>დ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ვ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფ. რუხის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ენგურზე „ენგური II"-ის ქვიშა-ხრეშის საბადო (კატეგორია - $C_1$+P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 3 049 800 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფ. რუხის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 408 936 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 40 893,6 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (80%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 327 349 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 10 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 10 აგვისტოს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 10 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 10 აგვისტოს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი № 19** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ობიექტის დამუშავება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით;<br>ბ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა უნდა დასაწყობდეს ექსპლოატაციის შემდგომ ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით.<br>გ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისათვის მიღებული წესების დაცვით.<br>დ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ვ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | საგარეჯოს მუნიციპალიტეტის, ტერიტორიაზე „საგარეჯოს" თიხის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის (სააგურე თიხის) ჯამური მოცულობა - 35 700 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 10 000 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1000 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 5 200 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 10 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 10 აგვისტოს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 10 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 10 აგვისტოს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

ფორუმის წინ

# „თბილისი 2015“-ის ვერცხლის მონეტა პოლონეთში მოიჭრა

**საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის — „თბილისი 2015“-ის აღსანიშნავად საკოლექციო დანიშნულების ვერცხლის მონეტა გამოუშვა.**

პრეზენტაცია ეროვნულ ბანკში გაიმართა. ღონისძიებას ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე, მონეტის დიზაინის ავტორი მამუკა გონგაძე და „თბილისი 2015“-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ალექსი ახვლედიანი დაესწრნენ. ათი ლარის ნომინალის 15.50 გრამიანი



მონეტა 925 ვერცხლის სინჯითაა დამზადებული. მონეტის დიზაინის მთავარ კომპოზიციას ფესტივალის ემბლემა და სპორტის ოლიმპიური სახეობების ამსახველი პიქტოგრამები წარმოადგენს.

როგორც მონეტის ავტორმა, მხატვარ-დიზაინერმა მამუკა გონგაძემ განაცხადა, ოლიმპიური ფესტივალის ლოგო მონეტებზე დატანილია ფერებში, საღებავების გამოყენებით, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს როგორც ტექნოლოგიურ სიახლეს, ისე ახალ სიტყვას საქართველოში საკოლექციო დანიშნულების მონეტების გამოშვების ტრადიციების განვითარების საქმეში. მონეტის რევერსზე გამოსახულია ევროპის რუკა, ოლიმპიური კომიტეტის ლოგო და ეროვნული ბანკის მიერ სულ ახლახან შემუშავებული ეროვნული ვალუტის ამსახველი სიმბოლო. მონეტა პოლონეთის ზარაფხანაში მოიჭრა და რეალიზაციაში 3 000 ტირაჟით გავა. მონეტის სარეალიზაციო ფასია 65 ლარი და მისი შეძენა შესაძლებელია როგორც ეროვნული ბანკის საკასო ცენტრსა და ყვარლის ფულის მუზეუმში, ისე ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე განთავსებული ონლაინ მაღაზიის მეშვეობით.

როგორც გიორგი ქადაგიძემ განაცხადა, ეს მონეტა ეძღვნება ახალგაზრდულ ოლიმპიურ თამაშებს, რომელიც რამდენიმე კვირაში თბილისში გაიმართება.

„ამ ღონისძიების მიზანია ჩვენი ქვეყნის პოპულარიზაცია. გარდა იმისა, რომ ძალიან ლამაზი მონეტა გამოვიდა, დარწმუნებული ვარ, რომ მნიშვნელოვანი ატრიბუტი გახდება ამ თამაშებისთვის და ჩვენს ქალაქში ჩამოსული ტურისტებისთვის იქნება სასიამოვნო საჩუქარი-სუვენირი“, - განაცხადა გიორგი ქადაგიძემ.

„დღევანდელი დღე და თვითონ ის ფაქტი, რომ მოიჭრა ოლიმპიური მონეტა, კიდევ ერთი დასტურია იმისა, თუ როგორი პასუხისმგებლობით ეკიდება საქართველო ოლიმპიურ თამაშებს და აქვს კიდევ მეორე დატვირთვა. ეს არის საკმაოდ წინგადადგმული ნაბიჯი იმისთვის, რომ „თბილისი 2015“ იყოს ერთ-ერთი საუკეთესო ოლიმპიური თამაშები“, — განაცხადა „თბილისი 2015“-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ალექსი ახვლედიანმა.

**ბეჟან დოლიძე**

ჩოგბურთი

# ნახევარფინალში ფედერერი მარეის დაუპირისპირდება

**უიმბლდონის ტურნირზე კაცთა შორის პირველი ნახევარფინალური წყვილი გამოვლინდა. დიდი სლემის 17-გზის გამარჯვებული როჯერ ფედერერი ბრიტანელ ენდი მარეის დაუპირისპირდება.**



1/4-ფინალში როჯერმა ფრანგი ჟილ სიმონი უპრობლემოდ სამ სეტში 6:3, 7:5, 6:2 დაამარცხა. შეხვედრამ საათსა და 39 წუთს გასტანა. როჯერმა 11 ეისი ჩააწოდა და მხოლოდ ერთი ორმაგი შეცდომა დაუშვა მაშინ, როცა სიმონს ერთი ეისი და ორი ორმაგი შეცდომა ჰქონდა.

ბრიტანელმა ენდი მარეიმ მეოთხედფინალში კანადელ ვაცეკ პოსპიშილს 6:4, 7:5, 6:4 მოუგო. შეხვედრა 2 საათსა და 16 წუთს გაგრძელდა. კანადელს 9 ეისი ჰქონდა, ხოლო მარეის — 3.

ფედერერი — მარეის ნახევარფინალური მატჩი დღეს გაიმართება. ურთიერთშეხვედრებში შვეიცარიელი ბრიტანელს 12:11 ამარცხებს. დღესვე ითამაშებენ ნოვაკ ჯოკოვიჩი და რიშარ გასკე.

**მანუჩარ გიორგაძე**

ლეგიონერი

# „ეფესს“ მანუჩარ მარკოიშვილი მოუნდა

**თურქულ „ანადოლუ ეფესს“ საქართველოს ნაკრების და მოსკოვის ცსკა-ს მსროლელის მანუჩარ მარკოიშვილის გადაბირება სურს. აღნიშნულ ინფორმაციას იქაური მედია ავრცელებს.**

მარკოიშვილი ცსკა-ში 2014 წელს გადავიდა და გუნდთან 2-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, რაც იმას ნიშნავს, რომ „მანუს“ რუსულ კლუბთან ხელშეკრულებით კიდევ ერთი წელი აკავშირებს.



მანუჩარს თურქეთში აქამდეც უთამაშია — იგი 2013-14 წლების სეზონში სტამბოლის „გალათასარაის“ ღირსებას იცავდა.

**ვიტალი ჯაფარიძე**

საფეხბურთო მოზაიკა



## საქართველოს ნაკრები ფიფას რეიტინგში 153-ეა

**საქართველოს ეროვნული გუნდი ფიფა/კოკა-კოლას ივლისის თვის რეიტინგში 153-ე პოზიციაზეა, რაც დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე ცუდი შედეგია.**

აქამდე ეროვნული ნაკრების ყველაზე ცუდი მაჩვენებელი 139-ე ადგილი იყო, რომელიც ივნისისა და მაისის თვეებში დაფიქსირდა. იმ ნაკრებების ჩამოთვლა, ვინც საქართველოს უსწრებს, შორს წაგვიყვანს. უბრალოდ, ვიტყვით, რომ ქართველებზე წინ თურქმენეთი, სინგაპური, პუერტო-რიკო, გურაჟაო, ტაჯიკეთი, ლუქსემბურგი, ლიხტენშტეინი, ვიეტნამი, ნიკარაგუა, გამბია და ა.შ. არიან. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ მსოფლიოს 2018 წლის ჩემპიონატის წილისყრის წინ საქართველოს ნაკრები მე-6 კალათაშია.

**რეიტინგის სათავეში არგენტინის ნაკრები მოექცა, რომელმაც გერმანიას გაასწრო. ამჟამად ფიფა/კოკა-კოლას რეიტინგში საუკეთესო 20 გუნდის ჩამონათვალი ასეთია:**

1 (3). არგენტინა — 1473, 2 (1). გერმანია — 1411, 3 (2). ბელგია — 1244, 4 (4). კოლუმბია — 1217, 5 (6). ჰოლანდია — 1204, 6 (5). ბრაზილია — 1186, 7 (7). პორტუგალია — 1177, 8 (12). რუმინეთი — 1166, 9 (15). ინგლისი — 1157, 10 (22). უელსი — 1155, 11 (19). ჩილე — 1129, 12 (10). ესპანეთი — 1110, 13 (8). ურუგვაი — 1036, 14 (18). ხორვატეთი — 1023, 15 (17). სლოვაკეთი — 1016, 15 (20). ავსტრია — 1016, 17 (13). იტალია — 1001, 18 (11). შვეიცარია — 997, 19 (17). ალჟირი — 941, 20 (16). ჩეხეთი — 933, ...29 (28). შოტლანდია — 774, ...30 (32). პოლონეთი — 769, ...52 (60). ირლანდია — 608. ...153 (139). საქართველო — 165.

ევროპის 2016 წლის ჩემპიონატის D შესარჩევ ჯგუფში გერმანიის, შოტლანდიის, პოლონეთის და ირლანდიის ნაკრებები საქართველოს ეროვნული გუნდის მეტოქეები არიან. კიდევ ერთი მოწინააღმდეგე გიბრალტარი რეიტინგში არაა, რადგან ფიფაში ჯერაც არ მიუღიათ.

## ბლატერი პრეზიდენტობას აღარ აპირებს

**ფიფას პრეზიდენტი იოზეფ ბლატერი თანამდებობაზე იმ შემთხვევაშიც არ დარჩება, თუ მსოფლიოს ფეხბურთის მმართველი ორგანიზაციის კონგრესი ამას სთხოვს.**



„ფიფას პრეზიდენტის პოსტზე არ დავრჩები. ეს ჩემი პრინციპული პოზიციაა. იმ შემთხვევაშიც წავალ, თუ კონგრესი დარჩენას მთხოვს“ — განაცხადა ბლატერმა შვეიცარიულ გამოცემა Weltwoche-სთან ინტერვიუში.

მიმდინარე წლის 29 მაისს ბლატერი ფიფას პრეზიდენტად მეხუთედ აირჩიეს, მაგრამ ოთხი დღის შემდეგ გადადგა.

ფიფას აღმასრულებელი კომიტეტის რიგგარეშე სხდომა, რომელზეც ახალი საპრეზიდენტო არჩევნების თარიღი გაირკვევა, 20 ივლისს ჩატარდება.

## ანხელ დი მარია „პსჟ“-ში გადასვლაზე თანახმაა

**არგენტინის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების შემტევი ნახევარმცველი ანხელ დი მარია „პსჟ“-ში გადასვლას დათანხმდა.**

გამოცემა Le Parisien-ის ინფორმაციით, 27 წლის სამხრეთამერიკელს „მანჩესტერ იუნაიტედში“ დარჩენა არ სურს, ხოლო პარიზელები მის სანაცვლოდ 60 მილიონი ევროს გადასახდელად მზად არიან. გარდა ამისა, ისინი მანჩესტერელებს ნახევარმცველ გრიგორი ვან დერ ვილსაც დაუთმობენ.

დი მარია „მანჩესტერ იუნაიტედში“ გასული სეზონის დასაწყისში მადრიდის „რეალიდან“ გადა-



ვიდა და ინგლისური კლუბის მაისურით ყველა ტურნირზე ჩატარებულ 32 მატჩში 4 გოლი გაიტანა, თან 12 შედეგიანი პასი შეასრულა.

## კასილიასს „სანტიაგო ბერნაბეუდან“ გრანდიოზულად გააცილებენ

**მადრიდის „რეალისა“ და ესპანური ფეხბურთის ლეგენდას იკერ კასილიასს „პორტუში“ გადასვლამდე გრანდიოზულად გააცილებენ. ცერემონია „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გაიმართება. ამის შესახებ მადრიდელთა ერთ-ერთი სპონსორის BWIN-ის „ტვიტერი“ იუწყება.**



34 წლის კასილიასი „პორტუსთან“ 2-წლიან კონტრაქტს გააფორმებს და წელიწადში 2,5 მილიონ ევროს მიიღებს. ამჟამად ის „რეალში“ წელიწადში 7 მილიონ ევროს გამოიმუშავებს და მადრიდელებთან კიდევ 2-წლიანი ხელშეკრულება აქვს. კასილიასს სურს, რომ ის სხვაობა ხელფასში, რაც მას პორტუგალიაში გადასვლის შემდეგ შეექმნება, ესპანურმა გრანდმა აანაზღაუროს.

„კასილიასი „პორტუში“ გადასვლის შესაძლებლობით აღელვებულია. იმედია, „რეალი“ ხელს არ შეუშლის და უპრობლემოდ გაუშვებს“ — თქვა ფეხბურთელის მენეჯერმა.

**გიორგი შოთაძე**

კალათბურთი

# ევროლიგა წარსულს ჩაბარდება?

**საკალათბურთო ევროლიგა ჩაშლის პირასაა. ფიბა-ევროპას და ევროპის უმთავრესი საკლუბო ტურნირის ხელმძღვანელობას შორის ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით კვლავ გაურკვევლობაა. ამდენად, დიდი შანსია, ქომაგი ახალი ტურნირის დაბადების მომსწრე გახდეს.**

შეგახსენებთ, რომ 2000 წლამდე ფიბა-ევროპა ჩემპიონთა თასს ატარებდა, სიტუაცია კი საუკუნის დასაწყისში აირია. ევროპის წამყვანი კლუბები ახალი ტურნირის დაარსების ინიციატივით გამოვიდნენ, შედეგად კი 2000-01 წლების სეზონში სტარტი ორმა შეჯიბრმა აიღო: ფიბა-ს სუპერლიგამ და ულებ-ის ევროლიგამ.

2008-09 წლებიდან მხარეებმა მოლაპარაკება შეძლეს და ევროპის უმთავრეს საკლუბო ტურნირს ევროლიგა ეწოდა, ულებ-ის თასი ევროთასად გარდაიქმნა, მესამე დონის შეჯიბრს კი ევროჩელენჯი დაერქვა.

ახლა ეს აწყობილი სქემა ისევ ირღვევა. ფიბა-ს სადავეების ხელში დაბრუნება განუზრახავს და ევროლიგის A ლიცენზიის მქონე კლუბებს ახალი ტურნირის ორგანიზების შესახებ უკვე აცნობა.

იდეის თანახმად, შეჯიბრში მონაწილეობას 16 კლუბი მიიღებს. სათამაშოდ პირდაპირ დაიშვებიან რეალი, ბარსელონა, ოლიმპიაკოსი, პანათინაიკოსი, ანადოლუ ეფესი, ფენერბაჰჩე, ცსკა და თელ-ავივის მაკაბი. ტურნირში მოხვდებიან საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის და ლიტვის ჩემპიონებიც, დანარჩენი 4 კლუბის ვინაობა კი საკვალიფიკაციო ეტაპზე გაირკვევა.

კლუბები რეგულარულ ჩემპიონატში 30-30 მატჩს ჩაატარებენ, შემდეგ კი იქნება მეოთხედფინალები და „ოთხთა ფინალი“. ფიბა-ევროპაში ფიქრობენ, რომ ამით ევროპული გრანდები გაცილებით მეტ ხეირს მიიღებენ, თუმცა, თავად კლუბები გადაწყვეტილების მიღებას არ ჩქარობენ. მათ უკვე გაავრცელეს განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ ფიბა-ს ხელმძღვანელობასთან სასაუბროდ მხოლოდ ნოემბერში იქნებიან მზად.

**კოба კობახიძე**

◉ აღშფოთებული მოქალაქე გვწერს

# უადამიანობა,




**ანუ როგორ ჩააფსმევინა შარდშეუკავებლობით დაავადებულ 81 წლის ბერიკაცს აფთიაქში ჯიპისიელმა ნინო წოწორიამ**

**ნეტავი ფეხი გამხმობოდა და სულ არ შევსულიყავი იმ დღეს, 8 ივლისს, ბახტრიონის 13 ნომერში მდებარე აფთიაქში. არ შევსწრებოდი იმ საშინელ ამბავს, უადამიანობის, კაცთმოძულეობის, უფროსი ადამიანის მიმართ უპატივცემულობის, ფულმოყირჭებული წამლების ბიზნესის მფლობელთაგან დადგენილი ყოვლად ანტიმოქალაქეობრივი, რატომღაც ვითომ უგამონაკლისო წესის ჭეშმარიტად ურჩხულურ დაცვას.**

აფთიაქში შესულმა მარტოხელა მოხუცმა, რომელიც, თურმე, საგანგებოდ უცდიდა ოთხშაბათს, რათა ფასდაკლების დღეს 70 ლარის წამლები ეყიდა (თავისი საცოდავი პენსიის თითქმის ნახევრით), იქვე პირდაპირ საპირფარეშოს კარს მოჰკრა თუ არა თვალი, ახალგაზრდა აფთიაქარს (ნინო წოწორიას) აშკარად შეღონებულმა მიმართა (უფრო შესთხოვა!) შვილო, შარდშეუკავებლობა მჭირს, ნუ შემარცხვენ ხალხში, თუ შეიძლება, ერთი-ორი წუთით ტუალეტში შევალო.

აი, აქ ამოვარდა ქარიშხალი, მაგრამ რა ამოვარდა! ახალგაზრდა აფთიაქარი, არცთუ ურიგო შესახედაობისა, უცებ პირწავარდნილ ურჩხულად გადაიქცა, უმალ რკინის კედელი აღმართა ჯიბიდან უკანასკნელ კაპიკეპგამოფხეკილ, საცოდავ მოხუცსა და აფთიაქში იქვე ცხვირწინ მდებარე, აულებელ ქაჯეთის ციხედ ქცეულ ტუალეტს შუა (ისე, უარის თქმა, რასაკვირველია, უფრო ზრდილობიანადაც შეიძლებოდა!).

კი, ბატონო წესად ჰქონიათ, უცხო პირმა, როგორც ჩანს, უგამონაკლისოდ, აფთიაქში არც კი უნდა ახსენოს სიტყვა ტუალეტი (ეტყობა, ამ ხსენებითაც კი იქ მყრალი სუნი დგება!), მაგრამ ამ არაადამიანური წესის გარდა (კაცნი ვართ, რა იცი, როდის რა ხდება ადამიანის თავს!), ხომ არის კიდევ სხვა წესი, რომლის თანახმადაც, ადამიანმა დახმარების ხელი უნდა გაუწოდოს გაჭირვებულ ადამიანს, მით უმეტეს, 81 წლის მოხუცს, შარდშეუკავებლობით დაავადებულს. თანაც ასეთი შემთხვევები ყოველ წუთს ხომ არ ხდება, შეიძლება მთელ წელიწადში სულ ერთიორჯერ მოხდეს.

სხვა არა იყოს რა, განა აფთიაქი სამედიცინო დაწესებულება არ არის, სადაც ყოველგვარი გაჭირვების დროს უნდა დაეხმარონ აფთიაქში შესულ მოქალაქეს!

მაგრამ არა! ავად გაკაპასებული ნინო წოწორია, რომელსაც, თუ ჰყავს, ბებიაც ღმერთმა უცოცხლოს და ბაბუაც, კვლავ და კვლავ ტუალეტის მცველ ურჩხულად დარჩა, და ახლაც თვალებიდან არ გამომდის ის ბერიკაცი, თავისივე შარდის გუბეში ჩამდგარი და საცოდავად თვალცრემლიანი, რომელ ცრემლებშიც მე მხოლოდ ერთი რამ ამოვიკითხე: ასე ცხოვრება არ გამოგვივა, სულ დაკარგეთ ყოველგვარი ადამიანობა, ხალხო?!

ეტყობა ის მამაცხონებული დარვინი მართალი იყო, ნამდვილად მაიმუნებისგან მოვდივართ, აბა, რამ გაგვამაიმუნა აგრერიგად?!

თვითმხილველი
**გურამ წიკლაური**

**P. S. ღმერთმა არ ქნას, რომ ჩვენს ერთ დიდ სატრანსპორტო საცობად ქცეულ დედაქალაქში, სადაც საზოგადოებრივი ტუალეტი სანთლით საძებარია, რომელიმე უცხო ქვეყნიდან ჩამოსული ტურისტი ამ ქვეშჩაფსმული (თუ უფრო უარესი არ დაემართა) საცოდავი ბერიკაცის მდგომარეობაში აღმოჩნდეს. არადა, როგორც ჩანს, ნამდვილად აღმოჩნდება, თუ რასაკვირველია, ამ საშურ საქმეს თბილისის საკრებულოს ამ ბოლო დროს თვით მერის წინააღმდეგ საოცრად გაყოჩაღებული დამოუკიდებელი დეპუტატი ალეკო ელისაშვილი დროულად არ მიხედავს.**

**რა ვქნათ, ისევ საერთო საქმისათვის თავგამოდებული ამ კაცის იმედად უნდა ვიყოთ!**

**იმედია, ჯი პი სი-ს ხელმძღვანელობაც თავის ტუალეტსაწინააღმდეგო და თავისივე თანამშრომლის ზრდილობა-უზრდელობის გამო თავის პირუთვნელ აზრს შეგვატყობინებს.**

**გ. წ.**

ხელოვნება

# ჩვენი მეგობარი ზაზა ბილიხოძე



ბევრი ზაზა ბილიხოძეს მოუკერძოებელ და პატიოსან, კრიმინალთან მებრძოლ ჟურნალისტად იცნობდა და ასეც იყო. ყმაწვილკაცობიდან მუშაობდა გამომცემლობა „სამშობლოში“, კალამიც უჭრიდა და ნიჭიც ჰქონდა იმისა, რომ პროფესიონალ ჟურნალისტად ჩამოყალიბებულიყო. აკი, ბოლო ხანებში ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებზეც წერდა. შემოგვივლიდა რედაქციაში, ჩუმად ჩამოჯდებოდა და ელოდა პასუხს, დავბეჭდავდით თუ არა მის წერილებს, ძალიან ხშირად ვუბეჭდავდით და მკითხველის მოწონებასაც იმსახურებდა.

კოლეგები ზაზა ბილიხოძეს სამშობლოსათვის გულდამწვარ ჭირისუფლად იცნობდნენ. ბევრიც არ უფიქრია, დასჭირდა სამშობლოს და აფხაზეთის განთავისუფლებისთვის მებრძოლთა რიგებში ჩადგა. არც გვარი შეურცხვენია, არც ქართველობა და არც მეგობრისთვის უღალატია. არ უყვარდა ომის ამბების მოყოლა ვეტერან მებრძოლს. ფიქრებში წავიდოდა და ქვეყნის მთლიანობაზე ოცნებობდა.

ბევრისთვის ზაზა უბრალო, ვერელი ბიჭი იყო. ქუჩის „აკადემიაც“ დაამთავრა და კაცობაშიც არასოდეს დაუხევია უკან... „რასაც აკლებს, თავის თავს აკლებს, თორემ სხვებისთვის ულალატოაო“ — ასე ამბობდნენ ვერელები მასზე, ახლაც ასე იხსენებენ ჩვენს ალალ და გულწრფელ კოლეგას.

ბოლო დროს ავადმყოფობამ დარია ხელი. „ჩემი ანკეტა რომ ნახო, სამედიცინო კარაბადინი გეგონებაო“ — ხუმრობდა სენისგან გატანჯული.

რაა 55 წელი ზაზასნაირი ბიჭებისთვის. უჩუმრად წავიდა, არავინ შეუწუხებია, გულისა და თირკმლის უკმარისობით ქუჩაში დაეცა და...

მის კოლეგებს უკვე წარსულში გვიწევს მასზე საუბარი.

ნათელი დაუმკვიდროს მის სულს უფალმა.

კოლეგები „საქართველოს რესპუბლიკიდან“

რეკლამა
293-37-87;
568 82-09-84.
მაჩაბლის ქ. №7.

**ანზორ ბაბუხადია და თინათინ მიხეილის ასული კანკავა ღრმა მწუხარებით იუწყებიან ოჯახის ახლო მეგობრის, დიდებული ქალბატონის**

## ლია ჩხენკელის

**გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის დიდ ოჯახს.**

---

**გივი, ოთარ აბდუშელიშვილები, ზაზა ებრალიძე, შალვა, მარინა მკურნალები, ძმისწული სანდრო ბერულავა, მძახლები ზურაბ, მარინა აზმაიფარაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაეცვალათ ბიძაშვილი**

## კოტე ბერულავა

**პანაშვიდი 10 VII, 18 სთ. ქ. თბილისი, ფურცელაძის ქ.№8. გამოსვენება კუკიის ძველი (ქვედა) ეკლესიიდან, შაბათს, 14 სთ.**

◉ ინფორმაცია

## მექრთამე დირექტორი მუზეუმის ტერიტორიას ასხვისებდა

**ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს უფლისციხის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორი ირაკლი მირუაშვილი დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე თბილისში დააკავეს.**

**გამოძიებამ დაადგინა, რომ ირაკლი მირუაშვილმა, თანამდებობრივი უფლება-მოვალეობების შესრულებისას, მოქალაქეს უფლისციხის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორიაზე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის პირდაპირი წესით იჯარით გადაცემაში დახმარებას სანაცვლოდ, ქრთამის სახით მოსთხოვა და გამოართვა 13 000 ლარი.**

# ისტორიის გამრუდებული სარკე

## ანუ, როგორ ალამაზებენ თურქები საკუთარ ისტორიას

(მერვე გვერდიდან)

ჰელმოლტი სერიოზულ ეჭვს გამოთქვამს, რომ ჰიურემი (როგორც აღვნიშნეთ, თურქების მიერ გატაცებამდე ბესარაბიელი მღვდლის ქალიშვილი, ულამაზესი და უცბიერესი ქალი, რომელმაც, სამეფო კარზე გაჩაღებული ინტრიგების წყალობით, ლამის კაბაზე გამოიბა სულეიმანი) დასავლეთის სამყაროს აგენტია და იგი შეგნებულად **„მიუგდეს“** სულეიმანს, რათა მის შემდეგ ოსმალეთის იმპერიის ტახტზე ჭკვიანი პრინცები მუსტაფა ან მეჰმედი არ აღმოჩენილიყვნენ. ამიტომ, ჰელმოლტი სერიოზულად ეჭვობს, რომ მეჰმედი მოწამლეს სწორედ მისი ბიოლოგიური დედის ჰიურემის ბოროტი ნებით, რათა ტახტისაკენ გზა გაკაფვოდა უნებისყოფო და ლოთ სელიმს, რომელიც ჰიურემმა ასევე ძლიერ ქალზე — ვენეციელ სესილიაზე დააქორწინა, რომელიც ისევე თავის ჭკუაზე ატრიალებდა უკვე გასულთნებულ სელიმს, როგორც ჰიურემი — სულეიმანს.

სწორედ ამან გამოიწვია ის, რომ ერთ დროს ბიზანტიის დამამხობელი და კონსტანტინეპოლის ამღები ოსმალეთი, სუსტი მმართველის სელიმის ხელში, თანდათან დასუსტდა და მალე ლამის დაშლის პირად მივიდა. ვიმეორებ — ამიტომ გამოთქვამენ სერიოზულ ეჭვს იმდროინდელი თუ შემდეგი პერიოდის მემატიანეები, რომ ჰიურემი სპეციალურად იყო მიჩენილი სულთანისათვის, რათა მის შემდეგ ოსმალეთის ტახტზე ყოვლისშემძლე სულთანი არ დამჯდარიყო, რომელიც დასასრულამდე მიიყვანდა სულეიმან მეორის მიერ წამოწყებულ იმდროინდელი სამყაროს სრულიად გათურქების პროცესს!

თუ ეს ასეა, მაშინ ქრისტიაულ სამყაროს მადლობის მეტი რა უნდა გვეთქმოდეს ჰიურემის მიმართ.

ფილმში კი ყველაფერი ყირაზეა დაყენებული — მეჰმედის მოწამვლა სულეიმანის პირველ ცოლს, მუსტაფას დედას — მაჰიდევრანს ბრალდება, სულეიმანი საშინლად განიცდის უმრწმესი შვილის მუსტაფას ტრაგიკულ აღსასრულს!

მოკლედ, ფილმის მიხედვით, ყველა მოხდარი ტრაგედიის მიზეზი შემთხვევითი ინტრიგებია — რეალური დამნაშავე, ტირანი და სისხლისმსმელი სულეიმან მეორე კი არაფერ შუაშია!

არ გახლავთ ეს ისტორიის შელამაზების თვალშისაცემი ფაქტი?

აქვე ერთი უზუსტობის შესახებაც: ქართულ ისტორიულ წყაროებში სულეიმან მეორე სულეიმან პირველადაა მოხსენებული, მათი სულთნობის ჟამს კი ლამის საუკუნე აშორებს ერთმანეთს.



ჰიურემ სულთანი

ფილმში მხოლოდ გაკვრითაა ნათქვამი იმდროინდელ ოსმალეთში ფეხმოკიდებულ ბარბაროსულ ტრადიციაზე, რომელიც სახელმწიფოს კანონად აქცია ჯერ კიდევ სულთანმა მურად პირველმა: ოსმალეთის ტახტზე ასულ სულთანს უნდა დაეხოცა თავისი ძმები, რათა ტახტის მფლობელს კონკურენტი არ დარჩენოდა. ძმებს შორის გაჩაღებულ ბრძოლასაც შეიძლება იმპერიის გახლეჩვა მოჰყოლოდა. სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, ეს შეიძლება ოპტიმალურიც კი იყოს, მაგრამ რამდენად მისაღებია იგი ადამიანური თვალსაზრისით? განა სწორედ ამიტომ არ დასაჯა სიკვდილით სულეიმანმა მუსტაფასთან ერთად მისი ოთხი წლის შვილიც, რომელიც დაკაცების შემდგომ შეიძლებოდა ტახტზე ასულ სულთანს მოჰკიდებოდა მტრად?

განა ამიტომ არ მოაკვლევინა ოსმალეთის ტახტზე ასულმა სელიმმა მისი უმცროსი ძმა ბაიაზეთი და მისი ოთხი მცირეწლოვანი ბავშვი?

განა ამიტომ არ ამოხოცა სულეიმანის შემდეგ ტახტზე ასულ სულთან სელიმ მეორის შვილმა მურად მესამემ თავისი ხუთი ძმა, ოსმან მეორემ კი ძმა საკუთარი ხელით დაახრჩო. ასევე ძმების სისხლში აქვს ხელები გასვრილი ოსმალეთის სულთან მურად მეოთხეს. ამ საქმეში კი **„რეკორდი“** აშკარად ეკუთვნის სულთან მურად მესამის შვილს მუჰამედ მესამეს, რომელმაც ტახტზე ასვლისთანავე საკუთარ 19 ძმას საზვარაკე ხარებივით გამოსჭრა ყელი და სრულიადაც არ უგრძვნია სინდისის ქენჯნა.

თურქების მიერ გადაღებულ ფილმში ამ ამაზრზენი ტრადიციის თაობაზე მხოლოდ მინიშნებითაა საუბარი, მაშინ, როცა ქართველებმა ძმის მკვლელობის ერთადერთი შემთხვევა არ ვაპატიეთ უფლისწულ კონსტანტინეს და ფილმიც კი მივუძღვენით მის ავკაცობას.

ამრიგად, თურქები დიდი მონდომებით ალამაზებენ საკუთარ ისტორიას და დიდ სახელმწიფო მოღვაწეებად წარმოგვიდგენენ ჩვეულებრივ მკვლელებსა და მედროვეებს!

**როლანდ ჯალაღანია**

## ყველას რაიმე აქვს სახსოვარი...



**დგანან: დამსახურებული ინჟინერი ქართლოს ზაქარეიშვილი, ცნობილი მსახიობი, იუმორისტი ნიკოლოზ მოსეშვილი, მსახიობი ავთანდილ გენძეხაძე; სხედან: ინჟინერი დემურ შამათავა, პოეტი და პუბლიცისტი, დაუვიწყარი სიმღერების ტექსტების ავტორი პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკი.**
**1952 წლის თებერვალი**

**მოგვაწოდა ქართლოს ზაქარეიშვილმა.**

## ყურადღება!

იყიდება დიდ დიღომში „იმედის“ კლინიკის სიახლოვეს მდებარე 1400 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგაობით. დატოვებულია ადგილი როგორც საცხოვრებელი სახლისთვის, ისე საცურაო აუზისა და სასპორტო მოედნისთვის. ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. ფასი შეთანხმებით. **ტელ: 599 168 171; 598 51 81 35**.

## იყიდება

იყიდება უშუალოდ კურორტ „საირმის“ ტერიტორიაზე, სამკურნალო წყლების წყაროებიდან სამოციოდე მეტრში მდებარე 2430 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი, სადაც, სურვილისამებრ, ერთდროულად შეიძლება როგორც სანატორიუმის, ისე სამკურნალო-სააბაზანოს, ფიტნესკლუბის, კინოთეატრისა თუ სხვა ნაგებობათა აშენება. ყველა კომუნიკაცია არის. ფასი შეთანხმებით. ტელ: 5 99 98 56 33; 599 37 00 35.

## აუცილებლად გასაკეთებელი

# ათი რჩევა ახალბედა მენეჯერებს

**„ლურჯი ოკეანე“ არის ბიზნესლიტერატურის ახალი მიმართულება როგორც პროფესიონალებისთვის, ასევე დამწყებთათვის.**

FOR DUMMIES — **ასე ჰქვია ინგლისურად სერიას, რომელიც მსოფლიოში ყველაზე დიდი ბიზნესლიტერატურის, გამომცემლის —** Wiley-**ს პროდუქტია, ქართულად კი „მარტივად წარმატებისკენ“ ჰქვია.**

უკვე გამოვიდა ამ სერიის ქართული ვარიანტის ორი წიგნი: **„მართვა მარტივად“ და „სამუშაოს ძიება მარტივად“**. ეს არის მარტივი ენით, ყველასთვის გასაგები პრაქტიკული სახელმძღვანელო ბიზნესის სხვადასხვა სფეროთი დაინტერესებული თუნდაც არაპროფესიონალი მკითხველისთვის. დეტალურად, პრაქტიკულად და გასაგებად დაწერილი, მაგალითებით სავსე წიგნი, რომელიც ლაკონურ წარმოდგენას ქმნის.

ახლანდელი დიდი გამოცდილების მიუხედავად, ოდესღაც ყველა მენეჯერი ახალბედა იყო. როდესაც მენეჯმენტში ახალი ხართ, შეიძლება, გაგიჭირდეთ ამოცანების განსაზღვრა — რა საქმეებია უფრო მნიშვნელოვანი, რა შეიძლება გადავდოთ მომავლისთვის (ან საერთოდ არ გავაკეთოთ). როგორც უნდა იყოს, ვერ გახდებით ეფექტური მენეჯერი, თუ არ გამოყავით „გასაკეთებელი“ და „არგასაკეთებელი“ საქმეები. ამ თავში ჩამოვთვლით 10 საქმეს, რომლებიც მენეჯერმა აუცილებლად უნდა გააკეთოს.

**1. დასახეთ მკაფიო მიზნები და მოლოდინები**

თქვენი, როგორც მენეჯერის მოვალეობაა, ორგანიზაციისთვის დიდი საქმეების გაკეთება არსებული ადამიანური რესურსის ნიჭის, უნარების, გონებისა და ფიზიკური ძალის გამოყენებით. მოკლედ, თქვენი მენეჯერული საქმეების უკეთ გასაკეთებლად საქმეების შესრულება უნდა მიანდოთ ადამიანებს, რომელთაც გადაუნაწილებთ დავალებებს.

**2. ნუ გეყოლებათ „ფავორიტები“**

გაიხსენეთ სკოლის წლები. იყო თქვენს კლასში ვინმე მასწავლებლის „ფავორიტი“? თუ თქვენ იყავით, ალბათ, ამით სარგებლობდით კიდეც. თუ თქვენ არ გქონდათ ეს „სანატრელი მდგომარეობა“, ალბათ, არ მოგწონდათ, როცა მასწავლებელი თქვენს ერთ ან რამდენიმე თანაკლასელს მეტი ყურადღებით ექცეოდა, პატიობდა შეცდომებს, რისთვისაც სხვებს სჯიდა, ტესტებში სხვებზე უკეთეს ქულებს უწერდა.

როცა მენეჯერებს ფავორიტები ჰყავთ, თანამშრომლები კილომეტრებზე გრძნობენ ამას. ჩვენი რჩევა იქნება, სამუშაოზე ერთნაირად მოექცეთ ყველა ადამიანს, მათ შორის მას, რომელიც სხვებზე მეტად მოგწონთ.

**3. მიეცით მაგალითი**

ჩამოაყალიბეთ ურთიერთობების თქვენთვის სასურველი სტანდარტები და თქვენი თანამშრომლები დაიცავენ ამ სტანდარტებს.

რეკლამა
29 3-37-87;
568 82-09-84.
მაჩაბლის ქ. №7.

**4. გახსოვდეთ, მიიღებთ იმას, რასაც იმსახურებთ**

მიუხედავად იმისა, რომ ფული მომუშავეებისათვის მნიშვნელოვანი მოტივატორია, პერსონალური აღიარება პირად მადლიერებად აღიქმება და სამუშაოს ხარისხის გაუმჯობესების საწინდარია. თანამშრომლის საქმიანობისთვის შექება ნდობის და დადებითი ურთიერთობების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს, რაც, თავის მხრივ, მათ მაღალ ჩართულობას განაპირობებს.

**5. გაიცანით თქვენი თანამშრომლები**

შეიძლება, თანამშრომლები შობას სახლში არ დაპატიჟოთ, მაგრამ არაფერია ცუდი იმაში, თუ მათ კარგად გაიცნობთ. მათთან კარგი ურთიერთობით ბევრს მოიგებთ. კარგი ურთიერთობები განაპირობებს ნდობისა და ერთგულების გაზრდას, უკეთეს კომუნიკაციას.

**6. ისწავლეთ დელეგირება**

ეფექტურ დელეგირებაში მოიაზრება უფრო მეტი, ვიდრე ვინმესთვის რაიმე სამუშაოს დავალება. ის მოიცავს ორმხრივ კონსულტაციებს და შეთანხმებას მენეჯერსა და გუნდის წევრებს შორის. მოითხოვეთ გუნდის წევრებისგან გამოხმაურებები და იდეები, ენდეთ და მხარი დაუჭირეთ მათ, იყავით ურთიერთობებისას გულწრფელი.

**7. იპოვეთ კარგი მრჩეველი. გახდით კარგი მრჩეველი**

ახალბედა მენეჯერებს განსაკუთრებით ესაჭიროებათ ვინმე, ვინც რჩევებს და დარიგებებს მისცემს. თქვენი მრჩეველი საკუთარი გამოცდილებით და თქვენი საქმიანობის გულწრფელი შეფასებით სწორ მიმართულებას მოგცემთ. ასევე, თქვენც, თქვენი გამოცდილებით და გულწრფელი გამოხმაურებით, დიდ სამსახურს გაუწევთ თანამშრომლებს. ნორმალური ურთიერთობებისას ორივე მხარე — მრჩეველიც და რჩევების მიმღებიც — ბევრს ისწავლის და გამოცდილებას შეიძენს.

**8. წაახალისეთ გუნდური მუშაობა**

მენეჯერმა უნდა წაახალისოს გუნდური მუშაობა. ყურადღებით შეაფასეთ ცალკეული დავალების სპეციფიკა და განსაზღვრეთ, კონკრეტულ საქმეს გუნდი უკეთ შეასრულებს თუ ინდივიდუალური თანამშრომელი. დააჯილდოეთ თანამშრომლები, როდესაც გუნდური მუშაობის უნარებს გამოამჟღავნებენ — ეს უნარები ნებისმიერ საქმიანობას ესაჭიროება.

**9. კომუნიკაცია, კომუნიკაცია და ისევ კომუნიკაცია**

წარმატებული მენეჯერები დახელოვნებული არიან თანამშრომლებთან ურთიერთობაში და ამას ინტენსიურად, მათ ხელთ არსებული ყველა საშუალებით აკეთებენ. მენეჯერმა ყოველდღიურად უნდა დაუთმოს დრო თანამშრომლებთან ურთიერთობას. გაიარეთ კომპანიის ტერიტორიაზე, რათა შეხვდეთ თანამშრომლებს და ესაუბროთ მათ მიმდინარე პროექტებსა და მომხმარებლებზე.

**10. გახდით მასწავლებელი**

კარგი მასწავლებელი ეხმარება თანამშრომლებს საქმის უმაღლეს დონეზე შესრულებაში ისევე, როგორც კარგი მწვრთნელი ეხმარება ფეხბურთელებს, ბეისბოლის მოთამაშეებს და სხვა სპორტსმენებს მაღალი დონის თამაშში. დაე, მათ დაინახონ, რომ ჩვეულებრივი ადამიანი ხართ (და არა სრულყოფილება), ვისაც შეიძლება მიმართონ, ენდონ. შედეგად, თქვენი ურთიერთობები აშკარად გაუმჯობესდება.

## კადრი



## ცინცხალი ანეკდოტები

**— ზინა, რაღაცნაირად უხერხულად გამომდის, — ეუბნება „ახალი რუსი“ ცოლს.**
**— რა ხდება?**
**— რა და, აი, ვოვა უკვე მესამედ მეპატიჟება ცოლის ქელეხზე, მე კი ერთხელაც ვერ დავპატიჟე.**

* * *

**— გუშინ მშობლებმა კატის კნუტი მიყიდეს! ისეთი საყვარელია, ნაზი, ფუმფულა!**
**— ფოტო გადმომიგდე ინტერნეტით!**
**— ფოტო არა მაქვს.**
**— მაშინ დაასკანერე!**

* * *

**— მაპატიეთ, ოლგა პეტროვნა, მაგრამ რამდენი წლისა ბრძანდებით?**



**— დედაჩემი მეუბნება, 35 წლისას ჰგავხარო!**
**— როგორ, დედათქვენი ჯერაც ცოცხალია?**

* * *

**— რა არის გაყრის მიზეზი? — ეკითხება მოსამართლე მოსარჩელე ცოლს, — ცოტას გამოიმუშავებს?... ბავშვებზე არ ზრუნავს?... ვერ გაკმაყოფილებთ როგორც ქალს?... არ გეხმარებათ საოჯახო საქმეებში?...**
**— იცით, რა, ბატონო მოსამართლევ, ყველაფერს, რაც საჭიროა, იგი აკეთებს, მაგრამ ერთი განახათ, რა გამომეტყველებით აკეთებს ამას!**

* * *

**— მთელი ცხოვრების მანძილზე სირჩა არაყიც არ დამილევია!**
**— ეს როგორ?**
**— ჭიქებით ვსვამ...**

* * *

**— მამაკაცო, როგორ არ გრცხვენიათ! რამდენჯერ შეიძლება დარეკვა?! და, საერთოდ, როგორ წვება თქვენთან თქვენი ცოლი — თქვენ ხომ მუდმივად სხვაგან ხვდებით!..**

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
(ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
ზურამ ზოზიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24